# ცისკარი

1862

მაისი.

წელიწადი მეექვსე.

## წოდება თხზულებათა.


I. —სიტყუა, უბრალო ხალხისადმი. გაბრიელ ეპისკოპოზისა.
II.—თამარ, საქართველოს ბატონიშვილი. (ისტორიული რომანი.) . . . . გრ. რჩეულოვისა.
III.—ლექსები სხუა და სხუა მწერლებისა.
IV.—მოწმობა ქეთევანდედოფლისა. თეიმურაზ ბატონის-შვილისა.
V.—სხუა და სხუა ანბავი. (იხილე მეორე გვერდზედ.)



ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ცისკარი

ქართული

სალიტერატურო ჟურნალი.

გამოიცემის ივ. კერესელიძის-მიერ.

მაისი.

წელიწადი მეექვსე.

«თუ შეიყუ̂არო სმენად,—მიითვალე და უკეთუ მიუპყრა ყური შენი.—ბრძენ იქმნე.»
(წიგ. ისო. ზირ. თავი 6. მუხ. 34.)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1862

Печатать позволяется. 20 Мая 1862 года.
Ценсоръ Кайтмазовъ.

# სიტყუა

თქმული გაბრიელ ეპისკოპოზისა მიერ უბრალო ხალხისადმი სოფელსა ზემოხეთს ჩყჲა-სა წელსა, შემდგომ ეკკლესიის კურთხევისა.

სახელითა მამისათა და ძისათა....

დღეს, ძმანო ქრისტიანენო. მადლითა ღმრთისათა ჩუენ გაკურთხეთ ეკკლესია ესე, ნაშრომი ჴელისა თქუენისა, და ამას იქით იგი გექმნებათ თქუენ სალოცავად და შესაწირავად ღმრთისადმი სულიერთა მსხუერპლთა თქუენთა. ახლა მე მსურს აღგიხსნა თქუენ რა არის ეკკლესია, როგორ უნდა იქცეოდეთ მას შინა და რა სარგებლობა უნდა მიიღოთ მისგან? ამ ეკკლესიის აღშენებაზე ბევრი შრომა და ფასი წააგეთ: ცოდვა იქნება რომ სამაგიეროთ არ მიიღოთ მისგან რომელიმე სულიერი სარგებლობა,

ხოლო სარგებლობას მიიღებთ მაშინ, როდესაც შეიტყობთ რა არს ეკკლესია?

ეკკლესია, მოკლედ რომ სთქვას კაცმან, სულისა ჩვენ-ნისათჳს ის არის, რაც ხორცისათჳს ჩვენნისა არის სა-ხლი, სადაცა კაცი დაიბადა და გამოიზრდება როგორც რომ კაცი თავის სახლში იშვება დედისა თჳსისაგან და მერმეთ გამოიზრდება და კიდევ მერმეთ ისწავლის ყოველსა სოფლიურსა საქმესა, გამოცდის ზოგჯერ ბედ-ნიერებასა, ზოგჯერ მწუხარებასა, სწორედ ეგრეთვე სუ-ლიერად იშვება ყოველი კაცი ეკკლესიასა შინა: ისწავლის ყოვლის ფერსა სულიერსა საქმესა, მიიღებს სულიერსა ბედნიერებასა და აღუარებს ღმერთსა სულიერსა თჳსსა მწუხარებასა.

დედამან შენმან გშვა შენ ხორციელად შენ სახლში და მერმერთ იწყო გამოზრდა შენი რძითა თჳსითა, ეგ-რეთვე წმინდამან ეკკლესიამან, რომელი არს სულიერი დედა შენი, გშვა შენ სულიერად ემბარისაგან და მერმეთ იწყო გამოზრდა შენი ლოცვითა და ზიარებითა, ვითარცა რძითა. ნათლის ღება არის სულიერი შობა კაცისა. ვინა-ჲდგან მხოლოდ მით შეიქმნება კაცი ქრისტიანე; ზია-რება და ლოცვა არის სულიერი საზრდელი კაცისა, ვი-ნაჲდგან ზიარებასა შინა კაცი სჭამს ხორცსა და სვამს სისხლსა უფლისასა. როდესაც შენ ცოტა ოდენი გა-მოიზარდე, მაშინ მშობელთა შენთა იწყეს ძლევა შენთჳს მაგრისა საჭმლითა და, როდესაც ჭასაკში შეხვედი, მაშინ გასწავლეს შენ მუშაობა და ყოველი სოფლიური საქმე. ამასვე იზამს წმინდა ეკკლესია სულისათჳს შენისა: ეკკლე-

სიასა შინა ყოველ წირვა ლოცუაზე გესმის შენ ლოცუა, გალობა, კითხუა საღმრთოჲსა წერისა; აქ გესმის შენ ყოველ წირვაზე კითხუა სახარებისა და უკეთუ გულის ხმიერად ჩაიგონებ ამ კითხუასა უეჭუელად შეიტყობ ყოველსა რაც ქმნა და გვამცნო ჩუენ უფალმან იესო ქრისტემან. სახარებისაგან შეიტყობ შენ რაოდენი სას-წაულნი ქმნა მაცხოვარმან; რაოდენი კაცნი მოაქცია, რა სწავლა და დარიგება მოგვცა, როგორ ჯუარს აცუეს ჩუენთჳს იგი. მესამესა დღესა აღსდგა, ამაღლდა ზეცად, წარავლინა მოციქულნი ქადაგებად სახარებისა; ერთის სი-ტყჳთ იქიდგან შეიტყობ შენ ყოველსა სჯულსა ჩუენსა, სამოციქულოჲსაგან, რომელ იკითხუება წირვაზე შეგი-ძლია შეიტყო თუ როგორ უნდა იქცეოდეს კაცი. რათა სათნო ეყოს ღმერთსა და აცხოვნოს სული თჳსი. ყო-ველ წირვაზედ გესმის შენ მოკლე ლოცუა; მრწამს ერთი ღმერთი მამა ყოვლისა მპყრობელი. ზეპირად უნდა იცო-დეს ყოველმან ეს ლოცუა მართლმადიდებელმან ქრისტია-ნემან. აქა მოკლედ არის გამოხატული ყოველი რაც უნდა ჰრწამდეს ქრისტიანესა; ამ ლოცუაში არის თქმული. რომ ჩუენ გვრწამს ერთი ღმერთი, სამ პირად ცნობილი მამა, ძე, და სული წმინდა, აღჳარებთ, რომ ძე ღუთისა მო-ვიდა სოფლად ჩუენისა ცხოვრებისათჳს, განკაცდა მარი-ამისაგან ქალწულისა, იქცეოდა კაცთა შორის ოცდა ათ წელ, განგვანათლა სახარებითა და გამოგჳხსნა ჯუარცმითა და სისხლითა თჳსითა, ეგრეთვე აღჳარებთ სულსა წმინ-დასა, რომელ მამისაგან გარდამოავლინა მაცხოვარმან, მოციქულთა ზედა. გვრწამს შჳდნი საიდუმლონი, რომ-

ლითა სული წმინდა განსწმენდს და აცხოვნებს ყოველსა კაცსა.

ესრეთ, უკეთუ გულის ხმიერად ვისმენთ ეკკლესიასა შინა წირჳსა და ლოცჳსა, უთუოთ ვისწავლით ჩჳენ ჯსჯულსა ჩჳენსა.

წინეთ ჩჳენ ვთქვთ, რომ ყოველი კაცი თავის სახლში ნახავს ზოგჯერ ბედნიერებასა და ზოგჯერ მწუხარებასა, ეგრეთვე ეკკლესიასა შინა ჭეშმარიტი ქრისტიანე გამო-ცდის სიხარულსა და მწუხარებასა სულიერსა.

უკეთუ შენ გულ მოდგინედ ილოცე და მოინანე ცო-დჳა შენი, მაშინ სული წმინდა მოგცემს შენ სულიერსა უხილავსა სიხარულსა; ეგრეთვე უკეთუ მტერმან შეგაც-თუნა შენ, მაშინ ეკკლესიასა შინა უნდა შეიწუხო გული-შენი ღჳთის წინაშე და ცრემლითა ევედრო ღმერთსა, რათა მოგიტევოს შენ ცოდვა შენი.

ერთის სიტყჳთ ყოველი სულიერი შენი ცხოვრება აქ უნდა იყოს.

ახლა უკეთუ გსურს რომ ეკკლესია იყოს შენთჳს სა-სარგებლო, აღასრულე ყოველი რაც გესმის ეკკლესიასა შინა; ეცადე რომ, როდესაც შეხვალ ეკკლესიაში დაივიწ-ყო ყოველი სოფლიური საქმე და მარტო ის გახსოვ-დეს რისთჳს მოსულხარ და რა უნდა ქმნა. ეკკლესიაშიდ უნდა იდგე ჩუმათ და კრძალულად- არავის არ უნდა ელა-პარაკო, არავის არ უნდა უყურებდე და სინჯავდე; არამედ ყური უგდო ლოცჳსა და გალობასა, და ეცადე რომ გაიგო და მიითჳსო რომელიმე აზრი საღმრთოჲსა წე-რილისა, ეცადე რომ ყოველს ნაწირევზე და ნალოცევს

უმჯობესი შეიქმნე; ესე იგი ღმერთი უმეტესად შეიყუა-რო, ხოლო ცოდვა და ამაოება მოიძულო, შეუძლია კაცმა შეატყოს თავის თავს თუ მიიღო მან რომელიმე სარ-გებლობა წირვისა და ლოცვისაგან, მით რომ მას სული დასვენებული აქუს; თუ უწინ ვინმე სძულდა, ან ვნება რაჲმე ჰქონდა ცოტ ცოტად ამას ყოველივეს დაივიწყებს.

წმინდა პავლე მოციქული ქრისტესი გვეტყჳს, არა ვითარმედ თქუენ ხართ ტაძარი ღუთისა ცხოველი და სული წმინდა ცხოვრებს თქუენ შორის. დღეს ჩუენ ვა-კურთხეთ ეს ტაძარი ქჳსაგან აგებული; გარნა თჳთ ჩუენ-ნი გვამი არის ცხოველი ტაძარი ღუთისა. შენობა ტა-ძრისა ღმერთმან ჩუენთჳს გააჩინა, და ცხოვრებისათჳს ამ ტაძარმა თქუენ უნდა გაგწმინდოს და გაცხოვნოს. რაც ამ ტაძარში მადლი იქნება და სიწმინდე მე-რმეთ თქუენ გულში უნდა შევიდეს და ბოლოს თქუენ უნდა შეიქნეთ ცხოველი ტაძარი ღუთისა; თუ ეს ასთე იქნება, თუ ეს ეკკლესია თქუენ გასწავლის, გაგწმენდს, მადლს და სათნოებას მოგიმატებს, მაშინ სწორეთ მო-გეცემა დიდი სარგებლობა მისგან; და თუ თქუენ თქუენ-ნი თავი არ გამოიცვალეთ, თუ ისთევე ის იქმნებით, რაც აქამომდი ყოფილხართ, არ ეცდებით რომ უმჯობე-სნი იყვნეთ,მაშინ დაგიკარგავთ ტყუილათ შრომა და ღუა-ისლ, გარნა ევედრეთ ღმერთსა, რომ ამ ეკკლესიისაგან მოგცეს თქუენ და მთელს სოფველსა მშჳდობა და კე-თილი ყოფაქცევა·

# თამარ ბატონიშვილი.

ისტორიული რომანი.

თხზ. გრიგოლ რჩეულოვისა.

**1862 წ.**

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# თამარ საქართველოს ბატონის-შვილი.

## ისტორიული რომანი.

### თავი 1.

მცხეთის ახლო, ღართის კარის გზაზედ, მარჯვნივ, განმხოლოებულს დაბალ მთაზედ სდგას თავ მონგრეული კოშკი, რომელიც გაჰყურებს აღმოსავლეთით გიჟმაჟ არაგვსა. ამ კოშკს ანუ ბებრის ციხეს იმ დროს, როდე-საც იწყება ჩვენი მოთხრობა დიდ-გულად აელო თავი მაღლა და არ ეპუებოდა არც კაცის მტერობასა, არც ჰაერისას.

მას ჟამად მეფობდა ლაშა გიორგი.

იყო მარტი და დიდმარხვა. კოშკის ძირში, ანთებულს ცეცხლს გარე შემოსხდომოდნენ მგზავრები, რომელნიც, როგორც ეტყობოდათ, იყვნენ მომავალნი შორიდგან,— და შაექცეოდნენ სამხარსა. ერთი მათგანი, ყველაზედ უნცროსი, თხუთმეტისა ანუ თექვსმეტის წლისა, იყო სრულიად გახვეული და დაშარტული შალებით, და თბი-

ლი ყაბალახი ნახევრად ძლივს უჩენდა მას სახესა. მარჯჳნივ მხარეს უჯდა ამ ყმაწჳლს ბრტყელ მხარ ბეჭიანი ჭაღარა კაცი, რომელიც შერჩევით აწოდებდა მას ზეთის ხილსა. მარცხნივ მესამე მგზავრი, შავ წჳერულვაშა და გრძელ თმიანი, უჭრიდა თხლად კაკალა პურსა. ყმაწჳლი მგზავრი ჴელებს არ იმეტებდა სახმარებლად, თჳთქოს ეშინოდა, სიცივეს ანუ ცეცხლის ალს არ აელანძა. მგზავრებს თავზედ ადგათ ღჳნის დამსხმელი, რომელიცა ხშირად უმარჯჳებდა აზარფეშას წითელის ღჳნითა ყმაწჳლ კაცსა, მაგრამ ესკი ძლივს მიიკარებდა ტუჩებზედ აზარფეშის პირსა და ისევ სავსეს უბრუნებდა; ჭაღარა და შავ წჳერ ულვაშა, თუ პურის ლუკმას დაიგჳანებდნენ, ღჳნით ისრულებდნენ დანაკარგსა.—რამდენსამე ნაბიჯზედ ეგრეთჳე ცეცხლის გარეშემო ისხდნენ ოციოდე კაცი, ყაბალახ და ნაბად წამოსხმულები, რომელთაც ჴელში ეჭირათ შეკმაზული ცხენები. ესენიც შეექცეოდნენ სამხარსა, მაგრამ არ იყჳნენ ერთმანერთის თავაზაში, და ცდილობდნენ დაესწროთ ერთმანერთისათჳს ანუ მეტი ლუკმა ანუ მეტი მათარა ღჳნო.—დაღალული ცხენებიკი შურის თოქალით უყურებდნენ იმათ ჭამასა.

დიდხანს მგზავრები მდუმარებით შაექცეოდნენ სამხარსა; ბოლოს ყმაწჳლმა მგზავრმა შახედა კოშკსა და ნარნარის ხმით სთქჳა:

ეს კოშკი ვინიცის რაოდენის სცოდაობის მოწამე არის საქართჳელოჲსა!

—მაგას გამარჯჳებაც ბევრი უნახამს ჩჳენის მეფეებისა, წამოიყჳრა ჭაღარა კაცმა.

—გარსევან!—უთხრა ჭაღარა კაცსა უმაწჳლმა მგზავრმა: შავწუხდი დიდხნის მოგზაურობით, და მსურს მცირედ ხანს კიდევ შევიცადოთ აქა; დროს გასატარებლადღა გეცოდინება რაჲმე ამბავი ამ ადგილებისა ძუჱლი თუ ახალი.—გვიამბე.

გარსევანმა ჩამოისო კელი პირისახეზედ და წუჱრულვაშზედ, შემდეგ ორიოდე ჩაახუჱლა ხმის გასაწმენდად და დაიწყო:

უნდა მოგახსენოთ, რომ სახელოვანთა და გმირთა საქართუჱლოს მეფეთა შორის იყო ვახტანგიც, რომელსაც სპარსთ უწოდეს გურგ-ასლან, ქართულად: მგელლომად. ათის წლისა თურმე იყო, როდესაც ისი ავიდა სამეფო ტახტზედ.—ამის მცირე წლოვანებით ისარგებლა ოსეთის მფლობელმა, საშინელმა ბაყკაცმა და კელძალოვანმა ბაყათარ ოსმა, და მოჰსტაცა დაჲ, საკელად მირანდუხტ, მშუჱნიერი ქალი, რომელიც, რა ჰასაკში მოსულ იყო, დაესო მას ცოლად.—ვახტანგი შეიქმნა ოცდა-ხუთის წლისა, მაგრამ ახოვანი ტანი მისი კაცს თურმე შეზარამდა. მას ახსოვდა ბაყათარ ოსისაგან საქართუჱლოს აოხრება და თავის დის დატყუჱვება. მოახწია ჟამმა სამაგიეროს გარდახდისა. ვახტანგმა შეკრიბა დიდი ჯარი და წავიდა ოსეთზედ.—იმ ჟამად ბაყათარ წასულიყო ხოზარ მეფესთან. ვახტანგმა ადჳლად ააოხრა ოსეთი, დიდის დავლით ჩამოიყვანა თავისი დაჲ ორის ვაჟით და ერთის ქალით შუშანიკათი.—ეს ამბავი, რასაკჳრუჱლია, ჩქარა მიუვიდა ბაყათარსა; ახლა ამან შეკრიბა ოსნი და ხაზარელნი და გადმოაბიჯა კავკასიის მთასა; წჳთა და აოხ-

რებით ჩამოახწია, აგერ ჩჳენ პირდაპირ რომ მინდორი მოჩანს, არაგჳს გაღმა, იქამდის და იქ დაბანაკდნენ.—ვახტანგ მეფე იმ ჟამად სპარსეთისაკენ იყო. და რა ანბავი მიუვიდა, მოეშჳელა საჩქაროდ საქართჳელოსა.—ძჳელთ ჩჳეულებისამებრ, ჯერ რამდენსამე დღეს ჩჳენსა და იმათ ფალავნებში იყო ბრძოლა. იმათმა ფალავანმა ხოზარელმა ვეშაპივით გოლიათმა მოჰკლა სპარსეთიდგან მოყვანილი ფალავანი ფარსმან ფარუხ, ერთის ხმლის დაკვრით ჩაბალახზედ. მასთან ბრძოლა ჩჳენს ჯარში ვეღარავინ გაბედა. შემდეგ ბაყათარ ოსმა მოინდომა ვახტრნგ მეფესთან ბრძოლა.—ამანაც უარი არ შეუთჳალა. მეფეს მოეხვივნენ ნაზირ ვეზირნი და უშლიდნენ ბაყათართან ბრძოლასა, რადგანაც ისი დიდად განთქმული იყო კელ ღონივრობით და ისრის მარჯჳედ სროლობაში. მაგრამ მეფემ არ დაიშალა. «მე მსურსო, ბძანა მან: რომ ჩემის დის გამაუპატიურებელმა ჩემის კელით მიიღოს ღირსეული სასჯელი.» შემდეგ მეფე შებძანდა კარავში, მხურვალეთ ილოცა; ღაღადებით ემთხჳა პატიოსანს ჯჳარსა; მიჰსცა მან მოხელეთა საჭირო დარიგება როგორც უნდა მოქცეულიყჳნენ ვინიცობაა შემთხჳევოდა რამე უბედურება, აღჯდა ტაიჭზედ, შეჭურვილსა ჯავშნითა და აიღო ფარი ვიგრის ტყავისა, რომელსაც ძნელად ჰკჳეთდა მახჳლი და გავიდა ასპარეზზედ. შეხედულება მისი კაცს თუალს მისტაცებდა, და თითქოს ადრევე მტერიც დარწმუნდა, რომ გამარჯჳება მას უნდა დარჩომოდა.—შეჰსწყდა ორივეს მხარეს ბუკების ხმა; წყალმა თითქოს შეაყენა ხმიერება თჳსი; ჯარმაც შეწყჳტა

სუნთქვა და ყოველნი ჭვრეტად გარდაიქცნენ. დაახლოვდნენ მებრძოლნი ყრომანერისა, და ვახტანგ მეფეს ღმერთმა ჴელი მოუმართა, და პირველისავე ისრის სროლით ბაყათარ ოსი ცხენიდგან ძირს ჩამოაგდო მძიმედ დაკოდილი, და შემდეგ მეფემ ხმლით მოუღო მას ბოლო. —(*)

მაშინ ოსისა და ხაზარის ჯარნი რა მოაკლდნენ თავის განთქმულს ბელადსა, მოვიდნენ და დაუკრეს თავი მეფესა და ჰსთხოვეს მიღება მათი თავის მფარველობასა ქვეშე.—ხოლო მრავალთა მათგანთა მოისურვეს მაშინვე ჩვენა სარწმუნოების მიღება და ქართლში დასახლება. მეფემ სიხარულით აღუსრულა თხოვნა, მაგრამ ბოლოსკი თურმე სანობდა: ოსნი ქართლს ქურდობით იკლებდნენ და ისევ მთაში იპარებოდნენ.

ამ გვარად ეს არაგჳ და ეს მინდვრები პირველნი იყვნენ მოწამენი მეფე ვახტანგის გმირობისა. რა დაასრულა გარსევანმა ამბავი, მგზავრებს მოესმათ სიმღერის ხმა, მგალობელი:

«მიმავალი ცას შეჰსტირის, ეუბნების, ეტყჳს მზესა:
აჰა. მზეო. გიაჯები შენ უძლებთა მძლეთა მძლესა,
ვინ დაბალსა აამაღლებ, მეფობასა მიჰსცემ სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა,»

რამდენსამე წამს შემდეგ გზაზედ გამოჩნდა თჳთ

---

(*) ეს ბრძოლა იყო დარიალთან არაგჳს პირზედ.

მომღერალიც, რომელმაც რა დაინახა ეს კრება, მიაქცია ამათკენ ცხენი თავისი. გამარჯვება თქვენი უთხრა მათ ახალმა მოსულმა. ეს იყო ყმაწვილი კაცი ოცდა ორის წლისა, მაღალი მოყვანილის ტანისა; დაბრაწილი ლოყები, ახლად ამწვანებული ულვაშები გამოაშკარებდენ იმის სიჭაბუკესა და სიმართლესა. შესახედაობა შავარდენივით გადაავლო ამ ხალხს ელვარე თვალები, გამოაზღაპრებდა იმის შეუპოვარ გამბედაობას და ნარნარი პირ-მღიმარობა უფრო უმშვენებდა თავათვე მშვენიერსა სახესა. ჭაბუკმა ნამეტნავათ დაუწყო ცქერა ახალგაზდა მგზავრსა, რომელიც ცდილობდა დაეკარგა თვისი ყაბალახი; მაგრამ ეს მოძრაობა შეამცნია უცნობმა ყმაწვილმა კაცმა, უფრო მიახლოვდა მას, და თვალი თვალში გაუყარა.

გამარჯვება თქვენი! განამეორა ახალმოსულმა და უფრო გამომცდელის თვალით დაუწყო ყურება ყაბალახიან ყმაწვილსა, რომლის გულს მისწვდა ელვა მისის თვალებისა; ყმაწვილი აირია და ვერ ჰპოვებდა მისამართსა მოეშორებინა თავი.

გარსევანმა შეამჩნია ეს ბეჯითი და უადგილო ცქერა და მოინდომა მოეშორებინა თავიდამ უსიამოვნო სტუმარი. ამიტომ დაიჭირა ცხენის ჯილავი და უთხრა:

—გაგიმარჯოს! შენის ცხენის მოუთმენლობაზედ გატყობ, ყმაწვილო, რომ მიეჩქარები სადღაც. სახელი შენი?

—შალვა.

—კარგი და კეთილი რადგანაც საჭირო საქმე გქო-

ნია. ჩუჱნ ველარ გავბედავთ სამხარზედ მოწვევასა; მხოლოდ გზა დაგვილოცე ერთის აზარფეშითა.

ღვინის მსმელმა აავსო აზარფეშა და მიართო შალვას.

—შალვამ ჩუჱულებრივ დაუკრა ყველას თავი და გადაჰკრა ღვინო.

—ჩემი საქმე ისეთი საშური არ არის, რომ თასლიბა არ გაგიწიოთ. და ეს რა სთქუა, შალვა თუალის დახამხამებამდინ ცხენიდამ გადმოფრინდა.

—ნუღარ შეგვწუხდებით, უთხრა გარსევანმა, ჩუჱნ უკუჱ გავათავეთ სამხარი და გზას მივეჩქარებით. თუ სათავილოდ არ მიიღებ, კარგი კაკალა ჭურები, ზეთისხილი, კარგი ღვინო გახლავსთ, რომელიც ჩუჱნთჳს მეტია . . . . . უბრძანეთ მსახურს , . ,

—აა, მესმის . . . . უკაცრაოდ . . . . ნუ თუ გგონიათ, მე ვსაჭიროებდე თქუჱნს სამელ საჭმელსა. არა. უმორჩილესად გთხოვთ პატივი მცეთ, და ჩემთან დაბრძანდეთ. ჩემს სამხარსაც შეექცეთ. ივანე, ჩამოიღე ხურჯინი, უბძანა შალვამ მსახურსა.

—ნუ შეგვწუხდებით: პატივისცემისათჳს მადლობას მოგახსენებთ; ვეშურებით გზასა: წარმოსთქუა ნარნარის ხმით ყაბალახიან ყმაწვილმა.

—არც მე გახლავარ აქ მდგომი. თჳთო ლუკმა ავიღოთ, თჳთო სადღეგრძელო დავლიოთ და შევუდგეთ გზასა. თუ ქალაქში მიბრძანდებით. ჩუჱნც თქუჱნი მგზავრები ვართ. შალვამ თუალით ანიშნა ივანე მსახურსა და ამან მსწრაფლად გაახადა დიდ მარხვის სუფრა, ' ტიკჭორა კი ლე ხით და მათარა თვითონ დაიჭირა და გადგა განზედ.

—ცოტა ძღჳენი და ბევრი ბოდიში, სთქჳა შალვამ: მაგრამ ამ მცირე სამხარსა, იმედი მაქჳს, შეუნდება მხიარულება, სჩანს სწყალობთ რუსთველსა: უთხრა გარსევანმა.

—როგორც ყოვლის მშჳენიერებისა! მიუგო შალვამ: როდესმე გავპირებ წასვლას იერუსალიმს იმის საფლავის სამთხჳევლად -ჩინებული მოლექსე იყო. ღმერთმა აკურთხოს.

დის კეთილი შემთხჳევა. რომელმაც შეგვყარა ჩჳენ ერთად, ალავერდი მასპინძელო, უთხრა ყაბალახიანს ყმაწვილსა და დაცლილი მათარა გარდაუგდო ბიჭსა, რომელმაც და ამას კჳალად მიართო მას გარსევანმა და შეაწვერულვაშა კაცმა ერთმანერთს შეხედეს და გაიცინეს ჩუმათ.

—ეგ ღვინოს არ გიახლებათ, უთხრა გარსევანმა: აქ მიბოძე მათარა, მაგის მაგიერ მე გიახლები.

—დიდი ხანია, რაც აღთქმა დაუდვია? სთქჳა დაცინვით შალვამ.

—მართლა მოგახსენებს, წამოთქჳა წმინდას ხმით ყაბალახიანმა ყმაწვილმა: არ გიახლები.

—ივანე! ხმელი ხილი, რომელიც არის ჩემს აბგაში. ივანემ გაჩხრიკა ხურჯინები.

—აბგა არ გახლავსთ, მოახსენა ივანემ.

—როგორ თუ არ არის. ჩემის ცხენის უნაგირის თავზედ უნდა იყოს შეკრული.

—არსად გახლავს. წეღან რომ პურს მიირთმევდით ღართის კარში, აბგა იქ ჩამოხსენით უნაგირიდამ, შალვამ ლუკმა ჴელიდგან გააგდო გაყვითლებულმა.

—ჩქარა ცხენი, შეუყვირა მან და წამოხტა ფეხზედ.

ძმანო დარბაისელნო! მოვითხოვ თქუჱნთან ბოდიშს, ცოტაოდენი მოითმინეთ, და ვიდრე თუთო სადღეგრძელოს წამოურიგებთ, ეხლავ აქ დავიბადები.—

— განა რა იყო აბგაში, რომ ეგრე შეწუხდით? ჰკითხა გარსევანმა.

—მცირე რამ, უპასუხა აღრეულმა შალვამ: ჩემი სიცოცხლე. და იქნება კიდევ უმეტესი რამე, სწორეთ არ ვიცი... ჩემის აღშფოთებისგამო მადას ნუ წაიხდენთ, ეხლავ დავბრუნდები.

და შალვამ გაჰქუსლა ცხენი.—

—ივანე, ვინ არის ეგ ყმაწვილი? ცოცხალი რამე სჩანს... ქეიფიანათ ხომ არ იყო? ჰკითხა გარსევანმა.

—დიაღ, ღართის კარს ისამხრა მგზავრებთან.

—მოდი შვილო, აგრიფე სუფრა და გამოუდგე შენს ბატონსა.

როდესაც ივანე გაისტუმრეს, ჩუჱნი მგზავრებიც შაუდგნენ ქალაქის გზასა.

პატარა ხანს უკან, ჩუჱნი მგზავრები უსხდნენ მხიარულს ბუხარსა მუხათ გვერდის კომში, რომელიც გადასცქერის მტკვარსა.

კარუს დროის მოველდით, სთქუა გარსევანმა: ჯერ ვახშმობა არ იქნება, გვიბძანებ ვახშამი ნოგარითოთ, ჰკითხა ყმაწვილსა.

—არა. მე არც დაღალული ვარ, რომ ძილის მეტი არა მეჭირებარა. მე მადლობელი ვიქნები რომ უბძანოთ დამიგონ.

—გარსევან მივარდა მათრაშას, ამოაღლაგა საჩქაროდ

ქუეშაგები და დაუგო.

—მე მივწუები, ეგები თუალი მოვატყუო და თქუენ მანამდინ მიირთჳთ ვახშამი.

—ჩუენ აქ არ გიახლებით პურსა; ბიჭების ასვლა-ჩასვლის ფეხის ხმა არ მოგასუენებსთ; ჩუენ ძირს ჩავალთ მარტოკა ყოფნა ხომ არ გაშინებს?

—არ მეშინიან, უთხრა ყმაწვილმა: ცეცხლი და სანთელი ანთია, და საიმედო ურდულიც უგდია კარსა. თქუენც ხომ შორს არსად წახუალთ?

—აქვე კოშკის ძირს ვიქნებით; როცა გნებავდესთ რამა, ფანჯარა დაგვირაკუნე და ჩუენ მზათა ვართ, ჰსთ-ქუა გარსევანმა, მანამდისინ ძილი ნებისა.

## თავი 2.

თჳთ იმ დროს, როდესაც ყაბალახიანი ყმაწვილი შევი-და ფიქრში იმ ყმაწვილ კაცზედ, რომელიც ესრედ ელ-ვასავით მათ მოელანდათ, და როდესაც ეს ფიქრები შე-ერივნენ ბურანსა, შალვამ მოატანა მცხეთას, რა შეიტყო გამოკითხვით, რომ მისს ნაცნობთ მგზავრებს ჩაუვლიათ ბინდისას, შალვამ ააჩქარა ცხენი.

«მე თუ ამაღამ იმ მგზავრებს არ მოვეწიე და არ შე-ვიტყვე, ვინ იყო ის ყმაწვილი, არ იქნება ჰსთქუა თავის-თჳს მან: პირუელის შემთხუევითვე მე შევამცნიე, რომ ის კაცი არ უნდა იყოს; იმისი ცდილობა, რომ დაეფა-რა სახე თჳსი ჩემს მიახლოვებაზედ, იმის ნარნარი გე-ლები, მშუენიერი დაწმენდილი ხმა და თჳთქმის დუნო-

ზედაც უარის იქმა—ყოველივე ესე მარწმუნებს. რომ ის უნდა ყოფილიყო ქალი ვაჟურად ჩაცმული.—იმის ელვა-თვალები, რომელთა სხივნიც ჯერ ისევ გულს მიტფო-ბენ .. აქ უნდა ერთი რამ ეშმაკობა იყოს. მაგრამ თუ მოტაცებული ჰყჳანდეთ, იმოდენი ამალა რათ მოჰსდევს, ან რატომ დაღონებული არ იყო? ჩუენს მეფეს გარყვ-ნილს კაცს ანბობენ; იქნება ვისგანმე მიჰსდის ეს ძჳრ-ფასი საჩუქარი? იქნება თჳთ იმ ქალმა არ იცის სად მიჰყავთ ან რისთჳს?—შალვა ამ ფიქრებთან მალას ატან-და ცხენსა, თითქოს ეგონა, რომ იმის მოწევნაზედ არის დამოკიდებული ბედი და უბედურება იმ ყმაწჳლისა.

იქნებოდა ვახშმობა, როდესაც შალვამ მოატანა მუხათ-გვერდის დუქანსა. მაშინვე გაგზავნა მსახური თჳსი ივა-ნე დასაზჳერებლად და შესატყობრად—გაუვლიათ მგზა-ვრებს თუ არა.

ივანემ ანბავი მოუტანა, რომ მგზავრებს ყველასა ჰსძინავთ, მაგრამ ყმაწჳლი კაცი მასთან არა სჩანს.

ამით უფრო დამყარდა შალვა თავის ფიქრზედ, რომ ის ქალი მოტაცებულია. ნუ თუ მარტო დაკეტეს სადმე შიშით, რომ ღამე არ გაპარვოდათ! ამ ფიქრში შალვამ გარდაავლო თჳალი კოშკსა და ნახა, რომ კოშკის სარკ-მელიდამ სამთლის შუქი გამობჟუტავდა. შალვა მაშინვე გარდმოხტა ცხენიდგან, მიუგდო ივანეს აღჳრი და უთხ-რა:

—შენ ამ ბუჩქს მოეფარე, დაუყარე ცხენებს საჭმე-ლი, თჳთონ შენც დანაყრდი, მაგრამ ნუ დაიძინებ, ნურც უჩემოთ უნაგირებს დახსნი ცხენებსა; ყური მახჳლად ბე-

ჭიროს: იქნება მომინდეს შენი თავი — რა ეს დარიგება მიჭირცა, შალვამ მიაქცია ნაბიჯი თვისი კოშკისაკენ. გაფრთხილებით ავიდა ორ სამ კიბესა და მიაწვა კარებსა, რომელმაც კარგა ჭაჭა-ჭუჭი მოიღო, მაგრამ არ გაიღო.

შალვამ სიფრთხილით დაარახუნა კარები.

პასუხი არ იყო,

მეორედ დაარახუნა კარი უძლიერეს პირველისა.—

—ვინ არის? შემოსძახა კოშკიდამ ხმამა.

შალვამ მაშინვე იცნა, ვისაც ეკუთვნოდა ეს სასიამოვნო ხმა.

—კარი გამიღე, შენ გარდას, უთხრა შალვამ.

—ვინა ხარ?

—შენი მცნობი მგზავრი, მიუგო შალვამ.

—ქუჩით ჩაბძანდით, ქუჩით! გარსევანი და სხვანი ქუჩით არიან. იმათთან მიბძანდით.—

—ისინი ხვრინავენ; ვერავინ ჩავაგდე გონში... ჩქარა კარი გამიღე, სიცივით ვიყინები.

—არ შეიძლება კარის გაღება, მეცა მძინავს; ისევ ქუჩით მიბძანდით და ბიჭები დაალუმეთ.

—ვეღარ წავალ; კარები გამიღე სულ სველი ვარ; ყინულები მკიდია თავ პირზედა... გზის შესამოკლებლად წყალში გამოვაცურე ცხენი, ფონი მეგონა და შევცდი. ყელამდინ წყალში მატარა ცხენმა, გინაღამ დავიხრჩე. სიცივისაგან კბილები მეკვრის; ენაც აღარ მმორჩილებს სალაპარაკოდ.

—მაინც ვერ გაგიღებ კარსა. ძირს ჩადით. მე აქედგან გადმოვძახებ ბიჭებსა, რომ ცეცხლი აგინთონ.

—ბიჭი მეცა მყავს, მაგრამ ცეცხლი არსად არის,

გამქრალა; აბედით ანთებას მე ვერ მოუცდი: სიცივე გა-მაშეშებს. ოო, ჩქარა, თორემ მგლები მიგირდებიან.

შალვამ ტყუილად იწყო კბილების კაწკაწი, და თრთო-ლა, თითქმის გაიცივა.

—გინდა მანდ მოგაწოდო ცეცხლი? უთხრა ხმამ კოშ-კიდგან: მუგუზლებს მანდ ჩამოგიყრი და ძირს აანთები-ნე ცეცხლი. აქ შენი შემოსვლა არ შეიძლება.

—კარგი, კარგი! კარი გააღე და მე ჩავიტან მუგუზ-ლებსა. განა ქართუჳლი კაცი ეგრე შეუბრალებელი უნდა იყოს?

კოშკში მყოფს ასე მოერია სიბრალული, რომ თავისი ვინაობა და მდგომარეობა დაავიწყდა: ასე გაშინჯეთ, რომ მრავალი და გრძელი თმის ნაწნავე-ბი და კავები მხრებზე და გულზედ ჰქონდა გადმოყრი-ლი, ამ სახით ქალი წამოხტა და მივარდა სანთელს გა-საქრობად იმ აზრით, ეგების შალვას არ დაენახა ისი სანთლის შუქზე. მაგრამ საიდუმლო გამოცხადდა: შალვამ კარის ჭუჭრუტანიდამ შეასწრო თჳალი სანთელთან ქალ-სა ვარსკჳლავსა, და წაიბუტბუტა:» ოჰ! გულმეცნიერი ვყოფილვარ!.. ნეტავი ჩქარა გამიღოს კარი!»

მანამ ამ სიტყჳბს დაასრულებდა, ქალმა დაავლო ერთს მუგუზალს ჴელი და რა კარებიდგან გამოუყარა ურდული მიაწოდა შალვას.

—გმადლობ! უთხრა შალვამ: ერთი მუგუზალიც რომ მიბოძოთ გამომიხსნით სიკჳდილისაგან. ქალმა უგრძნო-ბლად დაუტევა ღია კარი და როდესაც გადასდგა ფეხი ბუხრისაკენ მუგუზლის ასაღებად, შალვამ შეაღო კარი

და მსწრაფლად ჩავექტა ურდულითვე. ქალმა რომ ველარა გააწყორა, დააგდო მუგუზალი და უთხრა: ამედა ცეცხ-ლი, რამდენიც გინდოდეს გაიტანე.

მაგრამ უმაწვილი კაცი არ ეჩქარებოდა არც ცეცხლის გატანას არც გატფობას. ღიმილით მივიდა ბუხართან და აანთო სამთელი.

—არა, თექჳსმეტის წლის უმაწვილი კაცი ხარ, უთხრა შალვამ ღიმილით:რისა გერიდებოდა და გეშინოდა, რომ კარებს არ მიღებდი?მე რომ წყალში ჩავარდნა არ მომეგონა, იქნება ეხლაც კარზედ მეძაგძაგნა...

ქალს სირცხვილით და შიშით ოფლს ასხავდა. იმან არ იცოდა რა ექმნა შეჰხჳეწნოდა თუ დაემუქრებოდა. ამასობაში შალვა დაუახლოვდა ქალსა.

—ახლოს არ მოჰსდგე! შეჰსძახა ქალმა: ნუ თუ შეგფე-რის მოტყუება? რისთჳს ამოხველ აქა? რას ელი? შენმა სიცრუვემ გამაღებინა კარები; არ მოველოდი შენგან ამ გჳარს კადნიერებას!.. იცოდე. ერთის დაყვირებით ქჳეით ხალხს ფეხზედ დავაყენებ, და მაშინ გებრალებოდეს თავი; არ მიხედვენ შენს თავადის შვილობასა.

—დამშჳდდი, ქალო, მე მსურს შენთან მხოლოდ მე-გობრულად მოვილაპარაკო, და იქნება ამ უჳედრების მაგიერად მიმადლიდე როდისმე.—

—ან შენ უნდა გახჳდე აქედამ, ან მე: ორნი ერთათ ვერ დავრჩებით, თორემ ჩემნი მცჳელნი უეჭჳელად აგვუწჳენ.

—აა, მემუქრებით! გინდა მაგით შემარყიო? რახან ეგრეა, მე დაგარწმუნებ, რომ ვერც შენ გახჳალ აქედამ

და ვერც შენი მცჳელნი ამკუწჳენ, უთხრა შალვამ, და ვითარცა ელვა, მივარდა ქალსა და ჰსტაცა ჴელი მაჯაში.

ქალმა მხოლოდ შეჰკივლა და დაიჩოქა, მთრთოლვარემ ფერ მიხდილმა

—შალვავ, იცოდე, რომ ერთის წამის სიამოვნება შენცა და მეც სიცოცხლედ დაგჳჯდება. ნუ თუ ქრისტიანმა საქართჳელოს თავადის შჳლმა უნდა ისარგებლოს ამ გჳარის მდგომარეობით გასათხოვრის ქალისა?.., არა გყავს დედა? არა გყავს და?... წარმოიდგინე ისინი ჩემს მდგომარეობაში.. რის ღირსი იქნება ის კაცი, რომელიც ამ უპატიურებას მიაყენებს მათ?... რას ეტყჳს მას ქჳეყანა, ღმერთი, სჳნიდისი?... იმათ საღმრთო სახელს გაფიცებ, ნუ გერევი ჩემს სიკჳდილში!.. გახსოვდეს რომ ქრისტიანი ხარ.. დამეხსენ გადი აქედგან.

—დამშჳდდი, ქალო, მე არა ვარ იმ მხეცთაგანი, რომ შენ შეგამთხჳო რამ ცუდი. ნუ თუ ავი რამ გაჰფიქრე ჩემზედა? მე, რომელიც შენს დასახსნელად მოვედი, მე რომელიც მხოლოდ შენს ბედნიერებაზედ ვჰფიქრობდი აქ მოსვლის ჟამსა; რომელსაც თავი უნდა შემეწირა შენთჳს!... ოო, მომიტევე უნებური შიში, რომელიც უგუნურის ხუმრობით მოგაყენე... აჰა ჩემი ხანჯალი; თუ რომ ერთი სიტყჳა კიდევ წამომცდეს მეტი, ანუ კადნიერის შემოხედულებით გაწყენინო, მაშინვე შეუბრალებლივ გულში დამეც . ღმერთმა ხომ იცის, რა შიშის ფიქრმა შენზედ ამომიყჳანა აქა.—შენ მიხსენე დედა და და; იმათის პატიოსნებით დამაფიცე.—დედა არ მახსოვს, დაც არ მყოლია, მაგრამ ეს გახსენებაც საკმაოდ

არის ჩემთჳს, იცოდე, რომ ჩემში პატიოსნების და ერთგულების გარდა, სხჳა ღირსება არა იპოებარა, და გიდევაც ესენი იყჳნენ მიზეზნი ჩემის აქ მოსვლისა —მე პირჳელს ნახჳაზედვე მივხჳდი, ანუ გულმა მაგრძნობინა, ვინც იყავი შენა, და საშიშროებაში მეგულებოდი. ღმერთმა ინებოს, რომ მოტყუებული ვიყო ჩემის ფიქრისაგან, რომელიც წარმომიდგა შენსგამო, რა გნახე გაყურად ჩაცმული, ღმერთსა ვსთხოვ, რომ ეგ ცრემლი, რომელიც გადმოგდის ეხლა ღაწჳებზედ, იყოს შემაშრომელი იმ მწარეს ცრემლისა, რომელიც ჩემის ფიქრით უნდა აფრქჳო სხჳს გულში... მშჳდობით. გთხოვ მომიტევო ეს წყენა და აღშფოთება, რომელნიც მოგაყენე შენა არათუ ბოროტის განძრახულებით, არამედ სურვილით, რომ სიკეთე რამ მექმნა შენთჳს.

რა ქალმა ნახა, რომ შალვა სრულებით სხჳა ერით და გულით ელაპარაკება, შიში გადიყარა გულიდამ, მოიწმინდა თჳალთაგან ცრემლი და უთხრა: გმადლობ, შალვავ. მაგ კეთილის გრძნობისათჳს. იცოდე ეს შენი სიკეთე ჩემს სიცოცხლეში დაუვიწყარი იქნება.

—ახლა, როდესაც სრულიად სხჳა სახით და გულით მიყურებ მე, უთხრა მხურვალებით შალვამ: მოდი სრულებით მომენდე: მითხარ ვინა ხარ, ვის მისდევ ან სადა; საიდგან მოხჳალთ, გაყურად რათა ხარ ჩაცმული, საიდუმლოება ხომ არა ჰფარამსრა შენს მოგზაურობას. საშიშროება ხომ არა მიგიძღჳსრა წინ? ერთის სიტყჳთ, დამარწმუნე, რომ ჩემი შავი ფიქრი, რომელიც მე მტანჯავს შენის ბედის გამო, ტყუილი არის, და მაშინ გა-

ვალ აქედგან დამშჳდებული, მაგრამ გულ მოწყუეტილი, რომ ვერა გასიამოვნერა

—ოჰ, ამოიოხრა ქალმა: ყოველი ეგე, რასაცა მკითხავ, ჩემთჳსაც ბნელია. მაგრამ ვინ გამომიყუანს სინათლეში, ვინ მიიღებს ჩემში მონაწილეობას; ვინ ამიხსნის ამ საშინელს სიზმარს, რომელშიაც ფხიზელი ვარ შთანთქმული!... მე თჳთან ვერ გამიბედავს ჩავიხედო ჩემს გულ ში, დავეკითხო რამე...

—მაშ ჩემა წინათ გრძნობამ არ მომატყუა მე? შეჰყჳრა შალვამ: მითხარ, მითხარ ყოველი, რაც ამძიმებს შენს გულსა. მე ვიქნები შენი ფასარი—ყოველს დაგანახუებ. ჩემში ჰპოვებ შენ ყურ მოჭრილს ყმასა, ერთგულ ძმასა, რომელიც ყოველს ჟამს მზათ იქნება შეჰსწიროს შენთჳს თავი. დაგიხსნას თავის საკუთარის სისხლით ყოვლის ბოროტისაგან!..ნუ უარ ჰყოფ ჩემს შეწევნას, ჩემს ერთგულებას —მეც უბედურებაში ვარ გამოზდილი. უბედურება ასწავლის კაცსა ბევრს კარგსა, აფრთხილებს. შორს აჩუენებს საშიშროებას. მითხარ ყოველი შენი გარდასავალი. შენი სიყმაწვილე, შენი შთამომავლობა, რაცკი იცი და მოგაგონდება.

დიდი ხანი იყო ქალსა სწყუროდა ეთქუა ვისთჳსმე თავისი ნაღუელი; მაგრამ აქამდინ ვერ ეპოვა კაცი, რომლისათჳსაცა ეთქო თავისი საიდუმლო, მხოლოდ შალვას მხურვალე სიტყუებმა, და იქნება უფრო დაფარულმა მიზეზმა, რომელსაც არავის არ გამოუცხადებდა, გააბედჳნეს ენის აღძვრა.

—გეუბნები ჩემს აღსარებას, შალვა, როგორათაც უფ-

როს ძმასა, და როგორც ძმისაგან მოკელი შენგან სასარგებლო დარიგებას.

შალვამ ამოიოხრა ძმობის ხსენებაზედ. მას უნდა დაეურუებინა უმეტესი გრძნობა, რომელიც ძმობის სიყჳარულთან შორს იყო.

—მე ვარ, განაგრძელა ქალმა: სიყრმით იმერეთში გაზდილი, რაჭაში, ერთის თავადის შჳლის სახლში, სადაც ყოველნი დიდით პატარამდე, იყჳნენ ჩემი პატივის მცემელნი და აღმასრულებელნი ყოვლის მცირედის ჩემის სურვილისა, მაგრამ ყოველი ესე იყო არა მშობლიური, თჳთქოს უნებური; ჩემს გულსკი ჰსწყუროდა ტფილი გრძნობა სიყჳარულისა, ალერსი მშობლისა, რომლითაც ჩემ გარდა, ყოველნი ჰსტკბებოდნენ. მე ვჰგრძნობდი უმაწჳლობითვე, რომ არა ვითარი კავშირი ბუნებისა არ შემაერთებდა მე მათთან, მადლობის მეტი. რაღა თავი შეგაწყინო, რა შევიქენ ცხრა წლისა, მე იმ სახლიდგან გარდამიყჳანეს დედათ მონასტერში: იქაც მიმიღეს დიდის სიხარულითა და პატივისცემით, რომელიც არ შეჰფეროდა ჩემს სიყმაწჳლესა. მომაყოლეს წიგნისა და ლოცჳჱბის სწავლას, და როგორც მარწმუნებდნენ, ჩქარაც გავიმართე ორივეში; ყოველს დღესასწაულებში მომიყვანდნენ ხოლმე იმერეთის მმართებლის სასახლეში, სადაც აგრეთვე მეუღლე მისი მომისომდა თავის გვერდით, გამომკითხამდა ყოველს დაწვლილებით და მექცეოდა დიდის ალერსით, გიორგი მმართებელიც მეტად მოწყალედ ბძანდებოდა ჩემზედ. ერთის სიტყჳთ, მექცეოდნენ კეთილშეწყობით, მიალერსებდნენ ვითარც თავიანთ შჳლსა და

თავის დროზედ ისევ გამისტუმრებდნენ ხოლმე დედათ მონასტერში — ამ გვარს ცხოვრებაში და ჩემის თავის უცნობობაში შემისრულდა თექჳსმეტი წელი — ამ ახლო ხან დროებაში, გიორგი მმართებელმა დამიბარა მონასტერიდგან და რა ვიახელ, მიბძანა:

— შვილო თამარ! მოვიდა დრო შენის გასტუმრებისა მშობლიურს ქჳეყანაში. საქართჳელოს მეფის დას რუსუდანს დაუბარებიხარ და უახლებია კაცები შენს წასაყვანად. იმედი გვექნება, რომ თუ რომ აქ ვისგანმე უნებურად წყენა მოგაგონდება, იმას აქვე დაუტევებ, და შენი უმაწკლი გული შეინახავს ჩჳენდამი მხოლოდ თბილს ნათესაობითს სიყჳარულსა — იგი მოვიდა და მაკოცა შუბლზედ და გარდამცა თავის მეუღლეს. ახლა ეს მომიყჳა ბოდიშის მოთხოვნასა და დარწმუნებასა თავის სიყჳარულში. — მე ვგრძნობდი, რომ თვალები მემსებოდა ცრემლით და გული მიწროვდებოდა, რა ვფიქრობდი, რომ ხვალ უნდა გავშორდე ყოველს, ვისთანაც სიყრმით ვიყავ შეჩვეული. და შემდეგ უცნობს გზასა, რომელიც არ ვიცოდი ვისთან მიმიყჳანდა ანუ საიდგან იყო ჩემი მშობლიური ქჳეყანა საქართჳელო. მეორეს დღეს მომრთეს ვაჟურის ტანისამოსით, რომელშიაც შენ მნახე, დამარქჳეს იმ დღიდგან სახელად ილია, და რა შემსვეს ბაჩაზედ, შემამიყვნეს ამ დაუსრულებელს გზასა. ამ ამალის გარდა, რომელიც შენ ნახე, თან გამომატანეს ორნი მოხუცებულნი გამდელნი, რომელთაც ცხენზედ ჯდომა ვერ შესძლეს და პირჳელს მგზავრობის დღესვე იგინი გზაზედ ავათ დაგვხდნენ და იქავ ახლოს სოფელში მიაბარეს

მოსარჩენელად. მხოლოდ ეხლა ვიცი, რომ მე ამათ მივ-ყევარ ქალაქში რუსულის დედოფლის ბძანებით, მაგრამ რისთჳს ანუ რა მომელის მე იქა, არა ვიცირა.

—საკჳრჳელი საქმეა! სთქუა შალვამ: როგორ იცნობ შენს მხლებლებს? რას ატყობ მათ ქცევაში? არა გიგით-ხამსრა შენი ვინაობის ამბავი მათთჳს, ანუ ეჭჳ არა გა-ქჳსრა მათზედ?

—ისინი მექცევიან კრძალვით და დიდის პატივის ცემითა, უთხრა თამარმა. თუმცა მე სიტყჳა გაუტარე გარსევანსა (ჭაღარა კაცი) იმ ჭაზრით, რომ შემეტყო რამე ჩემის ბედისა, მაგრამ მან მიპასუხა, რომ ნურაფ-რისა ნუ მეფიქრებარა. რომ ვიქონიო გჳალად რავდენიმე მოთმინება, და მითომ მე მომელის ბრწყინჳალე ბედი.

—ეგ სიტყჳები არასა ნიშნამს კარგსა, სთქუა შალ-ვამ: არ ვიცი რა ვიფიქრო შენზედ. რას გეუბნება, თა-მარ შენი საკუთარი გული? წინათ გრძნობა არასი გა-ქჳს, ან ავისა ან კარგისა? ღმერთმანი დაგიხსნას იმ გან-საცდელისაგან, რომელიც მე ფიქრად მომდის, მაგრამ თუ გრძნობ რასმეს გულში შიშსა, ანუ ეჭჳ გაქჳს რისამე, მითხარ დაუბრკოლებლივ; მომიხმარე ყოველში, როგორც შენი... ძმა, რომელსაც შენის გამოხსნისათჳს არა ვითარი დაბრკოლება არ შეაშინებს და არ შეაყენებს —გინდა გაგაპარო აქედგან ამაღამვე? ნუ დაფიქრდები, რაც ეხლა შეიძლება მოვახდინოთ, ხჳალ უკჳე გვიან იქნება.

—მე ჯერ გული ავს არას მეუბნება, უთხრა თამარმა: უნდა დავემორჩილო ჩემს ბედსა და მიჰყუჱ ბოლომდინ; რაც ღმერთს უნდა, არ ამცდება.

—მაშ მისტუმრებ ეგრე უნუგეშოდ? უთხრა შალვამ ამოხვრით: არ მაძლევ შემთხჳეულებას შემოგწირო ჩემი სიცოცხლე?—

—შენი სიცოცხლე სხჳას მოუნდება... უთხრა ღიმილით თამარმა: მართლა, დამავიწყდა მეკითხა: წელან ისე როგორ წაგართო ფერი აბგის დაკარგვამა? ჩემი მგზავრები ჰფიქრობდნენ, რომ იმაში ხმელი ხილის მაგიერ სხჳა საიდუმლო უნდა ყოფილიყო შენახული.

—რა საიდუმლო?

—რა მოგახსენო. მე არ შემფერის თქმა. მითომ საყჳარლისაგან მოწერილი წერილები.

—ჰმ?ჩაიხრუტუნა შალვამ: მე გუშინდლამდინ არა მცოდნია რა არის ან საყჳარელი ან სიყჳარული,და ნეტავი ამაზედ მეტად აღარ შევიტყო.

თამარმა იჭჳნეულად გაიღიმა.

—არა გჯერა? უთხრა შალვამ: აი აქა მაქჳს ის საყჳარლისაგან მოწერილი წიგნები, რომლების დაკარგვამაც ისე შემაშინა,რომ იძულებული მყო შენგან მოშორებად.— ღმერთმა უშველოს ღართის კარის მედუქნეს: იმას აელო ჩემი აბგა და შაენახა. მაგრამ მანამდისინ ორიოდ დრახმა (*) არ ვაჩუქე, მანამ არ დამანება.—თუ გნებავს, ერთათ წავიკითხოთ და ვნახოთ, ვინ არის ჩემთჳს გაგიჟებული და ვითარის აღგზნებულის ლექსებით მიცხადებს სიყჳარულსა.

—მე რა ნება მაქჳს შევეხო შენს საიდუმლოსა, უთ-

---

(*) ვერცხლის ფული ექჳს შაურიანი.

ხრა თამარმა იმისთანა ხმით, რომელიც აცხადებდა, რომ მეტად სასიამოვნო იქმნებოდა მისთვის იმ წიგნების ჩუენება.

—მართალია, უთხრა შალვამ; მე აბგაში მიდევს რვეული; მაგრამ ის მაცნობებს მხოლოდ ისტორიას ჩემის შთამომავლობისასა. აქედგან შენც შეიტყობ, რომ მარტო შენ არა ყოფილხარ სიყრმითვე უცხოს სახლში გაზდილი და მარტო შენ არა გკლებია მშობლის ტკბილი ალერსი. ჩანს, განგებამ შეგვახუედრა ჩუენ დღეს ერთად, რომ ავხსნათ და გარდავსწყვიტოთ ჩუენი საიდუმლო ბედი.—მეც სხჳს კარსა ვარ შენსავით გაზდილი... მაგრამ ჩემი ისტორია—ყველას ისტორიას არ ემსგავსება. ვისაც გავაგონებ, იმას ჩემი სიცოცხლის და სიკუდილის გასაღებს ჴელში ვაძლევ. მე უნდა დარწმუნებული ვიყო, რომ მომსმენი არ გამცემს,

—მე მეშინიან სიტყუა დაგიჯერო, რადგანაც აქ შემოსვლითაც მომატყუე; თუ რვეულს წამიკითხამ, მაშინ შემიძლიან მოგცე სიტყუა, რომ შენი საიდუმლო ჩამყუება საფლავში. მაგრამა თუ საშიშოდ მიგაჩნია გამოცხადება, ანუ ეჭჳ გაქუს, რომ საიდუმლოს მე ვერ შევინახამ, ნუ წამიკითხამ.

—არა, მე არ გათქმევინებ, რომ მე უფრო დაფარულის ხასიათისა ვარ, ვიდრე თქუენ, უთხრა შალვამ: მინდა იცოდე, რაოდენად მიყუარხარ, რომ ჩემს სასიკუდინო საიდუმლოს თქუენ გატყობინებთ. ადექით, მოუმატოთ ბუხარსა ცეცხლი და წავიკითხოთ.

თამრმა მსწრაფლად გადიცო ახალუხზედ ქულაჯა და

გაბა და მიუჯდა ბუხართან შალვას, ამანაც მოიხსნა წე-ლიდგან ქმრით შეკრული აბგა, იქიდგანაც ამოიღო კელცახოცში შეკრული რვეული, რომელსაც ჯჳარედნივ ჰქონდა ყაითანი გადაგლებული და წჳერები მისი იყო შუაზედ დაბეჭდილი წმინდა სამთლითა.—მან გადაგლი-ჯა ბეჭედი და რვეულის თავზედ ეწერა:

«თავადი ელისბარ ე,, შჳლის ამბავი, ნათქჳამი იმისი ყმის ერთგულაძისაგან სიკჳდილის ჟამსა.—როგორც ღმერთია მართალი, ისე ეს ამბავი.»—

—ეგ ერთგულაძე ვინ გახლავსთ? ჰკითხა ქალმა.

—ეს გახლდათ ქმარი იმ დედაკაცისა, რომლის ძუძუ-მაც მე გამზარდა, ესე იგი მამა ჩემის მსახურის ივანესი.

—ახლა შეგიძლიან წაიკითხოთ, მე სრულებით მოვე-მზადა მოსასმენელად. მაგრამ მაგ რჳეულის სიდიდე გვეუბნება, რომ უნდა დავუჩქაროთ, თორემ ნახევარი დაგვრჩება წაუკითხავი

—ვისაც შენისთანა მსმენელი გვერდით უჯდება, განა დაეჩქარება?... მაშინ სრულებით ცარიელი ვიქნები...

—ხომ არა ფიქრობთ, რომ ერთგულაძის სახლში ვსხედვართ, და ხჳალინდელი დღეც ჩჳენ გვეკუთჳნის? უთხრა ქალმა.

—ოჰ, ეგ რა მძიმე სიტყჳა მითხარ! ნუ თუ დღის სინათლემ უნდა გვაჩჳენოს ჟამი გაყრისა და ისევ დაგვა-უცხოვოს? მაგ პირობით მე ენასაც არ გავძრავ.

—განგვაშორებს, მაგრამ—ვგონებ არ დაგვაუცხოვოს სრულებით, უთხრა ქალმა.—

—ვნახოთ, სთქჳა შალვამ აღმოხჳრით და დაიწყო.

«ჩემი ბატონი თავადი ელისბარ ე... შჳლი იქნებოდა ოცდა ათის წლისა, როდესაც მის მეუღლეს ეყოლა პირ-უ̂ელი ვაჟი შჳლი საკულად შალვა, მონათლული ამირ-სპასალარისაგან ზაქარია მხარგრძელისაგან.—იმ ჟამად ელისბარი არა ბძანდებოდა თავის სახლში, იგი იყო გაგზავნილი განსვენებულის თამარ დედოფლისაგან სპარსეთში და როდესაც იქიდგან დაბრუნდა, ცოლი მისი უკუ̂ე შავ მიწას ებარა და ექუ̂სის თთუ̂ეს ვაჟი შალვა ძიძასა, ესე იგი ჩემს ცოლს მარინესა.—ბატონი ელისბარ მწუხარეობდა ცოლის დაკარგუ̂აზედ, და ამ მწუხარების გასართობლად დედოფალმა გაგზავნა იგი წლის თავზედ კახეთში ჯარის შესაკრებად, რომელიც იგზავნებოდა ხორასანში.—კახეთში, ხოფელს ველის ციხეში, ბატონმა ნახა ერთი მშუ̂ენიერი ყმაწჳლი ქვრივი აზნაურშჳლის ქალი თავადის შჳლის ნაცოლარი, სახელად ელისაბედ. ბატონი დატყუ̂ევდა იმის სილამაზითა და მაშინვე დაინიშნა. მე ჩემის ცოლით და ძმით გარდავგვასახლა ბატონმა ველის ციხეში, რათამცა პატარა შალვა აღზრდილ იყო ელისაბედის თვალის წინა.—რა შეკრიბა საკმაო ჯარი, ბატონი ჩამობძანდა კახეთიდგან ქალაქში, საიდგანაც დედოფალმა გაგზავნა ხორასანსა; ხოლო ბატონმა მე თან არ მიახლა. იქ დაჰყო მან ექუ̂ს თუ̂ემდე.—რა იქიდგანაც მშჳდობით მობძანდა, მე იმ ჟამად ვიყავ ტფილისში, ბატონმა მკითხა მშჳდობიანობის ამბავი შჳლისა და დანიშნულისა თჳსისა· მე დავუყოუმნდი; მან განკჳრუ̂ებით შემომხედა და კუ̂ალად განიმეორა კითხუ̂ა.—მე მტკიცედ უპასუხე მშჳდობიანობა მათი, ხოლო პირ-

უელი დაყოყმობის მიზეზი ეს იყო, რომ თამარ დედოფლის შჳლის ლაშა გიორგისათჳს ვიღასაც ჩაეგონებინა განკჳრუებითი მშუენიერება ჩემის ბატონის დანიშნულისა და ერთის თჳს წინად, ვიდრე ბატონი მობძანდებოდა ხორასნიდგან, ლაშა გიორგი კახეთში ბძანებულიყო ველის ციხეს და ბატონის სიმამრისას ჩამომხდარიყო.— ეს ცნობა მქონდა ჩემის ცოლის წიგნითა და დიდად მაწუხებდა.—მესამეს დღეს შემდეგ ხორასნიდგან მოსვლისა, ბატონი ელისბარი წაბძანდა კახეთში და მეც თან ვიახელ; ველის ციხეში შეველით ჩუენ ბინდისას და ბატონმა ინება ჩამოხტომა ჩემს სახლში, და დიდად გახარებული იყო, რა ნახა თავის შჳლი შალვა ფეხზედ მოარული და ცოტად მოტიტინეცა.—ბატომა მე მაშინვე გამგზავნა მოყურებისას მოსაკითხავად და შესატყობრად ამალამ ინახჳნებენ მას თუ არა.—რა მიველ ბატონის სასიმამროსას, ვნახე რომ სამზარეულოში დიდ მზადებაში იყვნენ ვახშმისათჳს. ხოლო რა დანიშნულის მამამ მნახა და შეიტყო ჩემი ბატონის მობძანება, დაფიქრიანდა და მიბძანა: აქ მომიცადე, ეხლავ მოვალო.—იგი ჩავიდა ვენახში, სადაც ერთს ხეივანში კაშკაში გაუდიოდა სინათლესა. ერთს წამზედ იგი უკანვე დაბრუნდა და მიბძანა: «ბატონს მიულოცე ჩუენს მაგიერად მშჳდობით მობძანება და მოახსენე, რომ ელისაბედი შეუძლოთ არის და დღეს ვერ ინახჳნებს; ხუალკი რა დროსაც უნდოდეს, მობძანდეს —მე დაუკარ თავი და გამოვბრუნდი, მაგრამ სისხლიკი შემოღურეოდა მათზედ. და რა მოველ შინ, მოვახსენე ბატონს ყოველი, და არ დაუმალე ისიც, რომ

ბატონის მოზმანება კელის ციხეში იმის მოყვრებს არაფრად ეჭაშნიკათ. ბატონმა შემომხედა საშინელის თვალებით და მკაცრად მიბძანა; «რაც გულში ეჭჳ გაქჳს, ყოველი მითხარო; ქალაქშიაც შეგამცნიე, რომ რაღასაც მიმალამდიო.—მაშინ მე მოვახსენე, რომ თამარ დედოფლის შჳლი ლაშა გიორგი იმის მოყვარებისას ზმანდება ჩამომხდარი და ვგონებ ამიტომ უფრო არ უამათ თქჳენი ამ დროს აქ მოზმანება.»—

ამ თქმაზედ ბატონი ცეცხლივით აენთო და შემოიკრა შუბლში კელი. «ოჰ, უბედურო ჩემო თავო! ჰსთქჳა მან, და იყო ისე კარგა ხანს ჩაფიქრებული. შემდეგ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, მიუბრუნდა ჩემს დედაკაცს და უბძანა—შალვა აქ მომგვარეო.—მარინემ განკალით მძინარე ყმაწჳლი აკვნით მოართო ბატონსა. მან ახადა პირსა და აკოცა. და დიდხანს უმზერდა იგი დაშტერებით ბავშჳს ტუჩების ცმაცუნსა ძილში. დასასრულ, რა კიდევ აკოცა, ბატონმა ამოიოხრა და გვბძანა: თქჳენზედ ერთგულნი მე არავინ არა მყავსო; ამას გვარიც გიმტკიცებ-სთო; ვინიცობა არის, მე ამაღამ აღარ დავბრუნდე. ეს ყმაწჳლი ხჳალ გაუთენებლივვე გააპარეთ და ახალციხეს აიყჳანეთო; იქ იკითხამთ ჩუმად ეფრემ მღჳდელსა და მიჰგჳარეთ ამ პატარას ბარათითაო, რომელიც მაშინვე დაგვიწერა ბატონმა და მოგვცა. მან ხურჯინიდგან ამომაღებინა პატარა ყუთი; ეს სამსე არის დრაჰკანითაო (*) მეორე ყუთშიც მრავალი დრახმა და ძვირფასი თვლები

(*) იმ დროს ოქროს ფული.)

მაქჳსო; თქჳენც მოიხმარეთ და ამ ყმაწჳლსაც შეუნახეთ ვიდრე გაიზდებაო, და რაც მე დღეს შემემთხჳას ამას ნუ აცნობებთ, მანამ ოცდა ორის წლისა არ შეიქმნასო; ერთის სიტყჳთ თქჳენის ერთგულებისა და გონიერებისათჳს მომინდჳა ამ ფულის მოხმარებაც და ამ ყმაწჳლის გაზდაცაო. შემდეგ შემოიკრა ხმალი და სხჳა იარაღი და წაბრძანდა; მეც დამიშალა თან არ გავყოლვიყავ.—ყოველთჳს კეთილი და ალერსიანი, იმ ჟამად საშინელი იყო ბატონის შეხედულობა: იგი იყო გაყჳთლებული; ტუჩების ფერი განაცრებოდა; თვალებიდგან აფრქვევდა ცეცხლსა; ყელები და თითქმის სრული სხეული უკანკალებდა, თითქოს ციებისაგან; ყოველი მოძრაობა მისი იყო ჩქარი, თითქოს ეშინოდა, რომ არავინ გაჰპაროდა იქიდგან, სადაც აპირებდა წასვლასა.— ჩემი დედაკაცი მარინე იწიბლებოდა. მეც მოუსჳენებელს მდგომარეობაში ვიყავ, მაგრამ ბატონის შიშით ხმა ვერ ამომეღო. როდესაც იგი გაბძანდა, მე და მარინემ ერთმანეთს შევხედეთ და თითქმის ამ შეხედულებით გამოვაცხადეთ ყოველი, რაც გულში გვქონდა. მე მაშინვე შევარდი თავლაში, შევკაზმაზე ერთს წუთზედ ბატონისა და ჩემი ცხენები; შემდეგ შემოვარდი შინა, ჩავარჭე ორორი დამბაჩა წელში, შემოვიკარ ხმალი, ხანჯალი, გარდვიცჳ ბატონის მჳელი გაბა და გავექანე იმის მოყჳრებისაგან.—მარინე უყურებბდა ამ ჩემს მეუქარებითს მომზადებასა, მაგრამ არ მიშლიდა: იგი გრძნობდა, რომ ყოველმა ერთგულმა ყმამ ბატონს უნდა შეჰსწიროს თავი.—გამოსვლის დროს მე უთხარ ჩემს ცოლსა: «თუ მეც ვერ დავბრუნდე, მან გაი-

მძღჳაროს ჩემი ძმა და მივიდეს ახალციხეს ბატონისაგან დანიშნულს მღჳდელთან; გაუფრთხილდეს იგი ბატონის შჳლს შალვას ისე, როგორც თავის ორივ თვალის სინათლესა. ამასთანავე დავარიგე ჩემი დედაკაცი, რომ, თუ დაჭირებამ მოითხოვოს, შალვას ტანისამოსი ჩააცოს ჩჳჱნს პატარა შჳლს ივანესა, რომელიც იმოდენავე იქნებოდა, და ივანესი — შალვას, აგრეთვე შეუცვალოს მათ აკჳნები, და უმეტესი მზრუნჳჱლობა და ალერსი მიაპყრას ივანესა, რათამცა ამით აება მტრისთჳს თვალები და ეჩჳჱნებინა ივანე შალვად და შალჳა ივანედ: ერთის სიტყჳთ, მივეცი ასეთი დარიგება ჩემს ცოლსა, რომ დაჭირების დროს უნდა ივანეს სიცოცხლე შეეწირა მსხჳჱრპლად შალვას დასახსნელად. — თითქოს დასარწმუნებლად, რომ ყოველს ნათქჳამს აღასრულებს, ჩემა ცოლმა მაშინჳჱ წამოავლო მაკრატელს კელი და მშჳჱნიერი ხუჭუჭი თმა შალვასი შეიქმნა მსხჳჱრპლად იმის ერთგულებისა. — ეს სიფრთხილე ამიტომ მოიხმარა იმან, რომ შალვასთანა თმა გლეხის კაცის შჳლს იმჳთად ექმნებოდა. —

რა ეს დარიგება მივეცი ჩემს ცოლსა, მე გავექანე ბატონის მოყჳრების სახლისაკენ, და რა მიველ ბაღის კარებთან, ვნახე რომ შიგნით ბატონი ამაყად ელაპარაკებოდა თავის დანიშნულის მამასა და ერთს ვიღასაცა, რომელნიც ცდილობდნენ არ გაეშოთ ბატონი ბაღისაკენ, სადაც ხშირი ფანრები ანათებდნენ ხეივანსა. მაგრამ ბატონმა არ დაიშალა და ძალის ძალად ბაღში ჩაიარა. მას გაჰყჳა თან დანიშნულის მამა; ხოლო მეორე კაცმა

კი მოუხმო მსახურებსა და უბძანა ჩუმად, რომ ოთხიოდე კელ ღონიერნი მსახურნი ლაშა გიორგის ამალიდგან ჩაიყჳანოს ვენახში და დროებით იქვე ჯაჭვების ქჳეშ ამოსოს.—ამ ბძანების მიმცემი იყო ივანე არღუთაშჳლი, მხარგძელი, უნცროსი ძმა ზაქარია სპასალარისა, სულითადი მეგობარი ბატონის შჳლის ლაშა გიორგისა, იმისი დამრიგებელი და ყოვლის საქმის მრჩეველი.—ამ ივანემაც შემდეგ მიაქცია ნაბიჯი ხეივნისაკენ.—მე ვიყავ უჩინავი მოწამე იმისა, რაჲც იქ მოხდა. იმ ჟამამად ლაშა გიორგი და ბატონის დანიშნული ელისაბედი ნარდს შექცეოდნენ.—გიორგი გადასწჳდა და მოგლიჯა ერთი გაშლილი ვარდი და უთხრა ელისაბედს:

—მე აქამდინ დარწმუნებული ვიყავ, რომ ბუნება უმეტესი კელოსანი არის კაცზედა, მაგრამ ეხლა შენმა ნახვამ შემიცჳალა ეს ფიქრი.

—ვერ მივხვდი, ბატონისშჳლო, თქჳენის სიტყჳების ჭაზრსა, მოახსენა ელისაბედმა: თუ რომ ფარული აზრი არა იმალებარა თქჳენს სიტყჳებში, ვგონებ თქჳენი პირველი ფიქრი მართალი უნდა იყოს მეორეზედ: არც ერთი ყვავილი არ ისაჭიროებს თავის გასამშჳენიერებლად კაცის შემწეობასა.

—მე სრულებით არა მჯერა, რომ ამ ვარდს თქჳენგან არა ჰქონდეს მიღებული ფერიც და სურნელებაც, უთხრა ღიმილით გიორგიმ.—ამედა ატლასივით გაწითლდი. ნუ თუ ოდესმე ვარდს დაედება მაგ გვარი ფერი?

—თქჳენი სიტყჳები ვის არ გააწითლებს, მოახსენა ქალმა; მაგრამ ეს სიწითლე ჩქარა შეეცჳალა ელისაბედს

სიყჳთლედ. მან დაინახა მიმავალი მათკენ ბატონი ელის-ბარი.—ქალს კამათლები ჴელში გაუცივდა გიორგიმ შუბ-ლი შეიჭმუხა.—

—ბატონის შჳლს გახლავარ! მოახსენა ელიზბარმა, რომელმაც აგრეთვე მძიმედ თავი დაუკრა ელისაბედს, რა იმასთან მივიდა.

—მშჳდობა შენი ნახუ̂ა, ჩემო ელიზბარ! რა ანბავს იტყჳ ხორასნიდგან და მერე ჩუ̂ენის ქალაქიდგან? ჰკითხა გიორგიმ.

—ბევრს კარგსა მოახსენა ელისბარმა: დედის თქუ̂ე-ნის ძლევა შემოსილმა ლაშქარმა ააოხრა სპარსეთი და დაუმონავა მას შაქი შირვანის ხანები, ხორასნის და გილანის ფაშები.

—გმადლობ ჩემის მხრითაც და დედის ჩემის მაგიე-რათაც მაგ ერთგულის სამსახურისათჳს და სასაამოვნო ცნობისათჳს, უთხრა გიორგიმ.

—მე უკუ̂ე მივიღე ღირსი ჯილდო დედოფლისაგან, მოახსენა ელიზბარმა, რა კუ̂ალად თავი დაუკრა მას.

—ეგ უფრო ახარებს ჩემს გულსა, რომ დედა ჩემმა იცის ღირსეულად დაფასება ერთგულებისა, უთხრა გი-ორგიმ: სხუ̂ა რაღა იცი ახალი ჩუ̂ენის ქალაქიდგან?

ერთი თთუ̂ა ყოველ დღე ვაპირებ წასვლას და თითო მიზეზი არ დამელია.

—გავბედამ მოგახსენო ბატონისშჳლო, რომ დედო-ფალსაც უკჳრს თქუ̂ენი ესრედ დაგჳანება: ჩინგის ყაენი აპირებს საქართუ̂ელოზედ დაცემასაო. დედოფალს ჰგონია რომ თქუ̂ენ უკუ̂ე შეგიკრებიათ ლაშქარი იმის პასუხის მისაცემად და სრულებით არა ჰგონებს იგი, რომ თქუ̂ე

დრო გქონდესთ ნადიმობისა და ნარდის შექცევისა.— გიორგიმ წარბები შეიკრა.

—მაგას დედოფლის დაბარებით მიბძანებ, თუ თქჳენ თავად ღირს მყოფთ მაგ ყჳედრებისასა? უთხრა მან რა შეხედა ელიზბარს მრისხანებით.

—ერთგულება კალად მდებს გაგიბედო ყოველი მართალი.

ელისაბედი წამოსდგა და აპირებდა წასვლას; მაგრამ ელიზბარი გადუდგა გზაზედ.

—სად მიეშურებით, უთხრა მან ჩუმათ: ბიჭმა ანბავი მომიტანა თქჳენის შეუძლოთ მყოფობისა და დავეშურე თქჳენს ნახჳას; მაგრამ სიამოვნებით ვხედამ, რომ მკურნალი უკვე აქა გყოლიათ,

ბატონის შვილიც წამოდგა; იგი ივანე არღუთაშვილმა გაიყვანა გვერდზედ და დაუწყო რაღაც ჩურჩული.

—ჯერ თქჳენ ნება არა გაქჳსთ მაგ-გვარის ყვედრებისა, უთხრა ელისბარს წყენის ხმით ელისაბედმა და გარდუქცია გზა შინისაკენ წასასვლელად

—ნება არა მაქჳს? შეჰყვირა გულწრფელობით ელისბარმა, რა კჳალად გარდულობა მას გზა: მაშ ვისა აქჳს ნება? ვის ბეჭედს ატარებ კელზედ? რის ნიშანია ეგა? ვისი სახელი უნდა დაირქო? შემდეგ ვის უნდა ეკუთვნოდე?.. ნუ თუ ეთამაშები ეგრე ადვილად ჩემს პატიოსნებას და შენს ნამუსს?—

—ელიზბარ! უთხრა ივანე არღუთაშვილმა, რომელმაც ყური მოჰკრა ამათ ლაპარაკს: ჯერ ელისაბედი თავისუფალია და სრულებით უჭუჭყოდ ატარებს თავის განსვე

ნებულის ქმრის სახელსა, ამისათჳს შენი ლექსები და ყვედრება მეტად უალაგონი არიან. მაგითი შენ ბატონის შვილს გიორგის პირ და პირ ცხჳრში ჰსცემ, და ელისაბედის მამის მასპინძლობას უქმად ატარებ.

ბატონის შვილმა მიიწია ელისბარისაკენ.

—რა ნახე შესაკიცხავი მე და ელისაბედის ნარდის თამაშობაში, რომ შენ ეგრე გული აგემღჳრა და გესლით გაგეტენა ენა? უთხრა მას ლაშა გიორგიმ: ნუ თუ თამარ დედოფლის შვილსა, საქართჳელოს ტახტის მემკჳდრესა, უნდა ეუჳედრებოდეს სტუმრად მისვლა თავის ერთგულ ქჳეშევრდომთანა?—

—ბატონის შვილო! მოახსენა ელიზბარმა: ყოველი თავადის შვილი მიითვლის უღირს ბედნიერებად თქჳენს სტუმრებას; მაგრამ ამ სტუმრობით არ უნდა შეარყიოთ ბედნიერება ოჯახისა და შეჰსცხოთ ლაქა მათ პატიოსნებას.

—როგორ? განა მე ჭუჭყიანი ვარ? განა ჩემი მისვლა სადმე პატიოსნებას ართმევს კაცსა? ჰყჳროდა განცოფებული ლაშა გიორგი.

—თქჳენ არა, ბატონის შვილო, მაგრამ ვისაც დასდევთ, ვისაც სიტყჳას ისმენთ, ის არ არის კეთილის მრჩეველი; თქჳენ არ იცნობთ საკმაოდ ივანე არღუთაშვილსა; მაგას სხჳს ჭირი თავის ლხინად მიაჩნია.—რაოდენ ღირსებაც მაგის უფროს ძმას ზაქარიას სპასალარსა აქჳს, ეგოდენივე სიმდაბლე მაგაში იპოვების; იგი თავის ავის ენით გაშორებს თქჳენ ერთგულთ ყმათა, რათამცა თჳთონ ძმის შემდეგ გაურჯელად დაიჭიროს უპირჳელესი ალაგი თქჳენს კეთილს გულში.

—ეგ ყოველი ღირსება ჩემი კარგად მოეხსენბა ბატონის შვილსა, ჰსთქჳა ივანემ დაცინვით- მაგრამ ესრეთი უმაწვილი არა ბმანდება, რომ არ მიგიხჳდეს მიზეზსა, რაჲც გალაპარაკებს ეგრე ჩემს სასარგებლოდ.

—ეგ პატიოსნება რომ ჩჳენ წინ წამოგჳგორე, უთხრა ბატონისშვილმა ელიზბარს, შენ შენთჳს რატომ აღარ შეინახე მცირედი? ხომ იცოდი, რომ მე აქ ვიყავ; უარიც ხომ შემოგითჳალე, რომ შეუძლობლობისაგამო ელისაბედი ვერ გინახჳნებსო, რიღას ნამუსით აიღე თავი და მოეკადლეგი აქა?—

—მე გიახელ დასაცჳელად ჩემის ნამუსისა, მოახსენა მტკიცედ ელისბარმა: ელისაბედის აჳათმყოფობა მე მდებს მის მოყლის ვალსა და არა სხჳასა. მე ჩემის სახლიდგან ვერავინ დამითხოვს. კარგათ მოგეხსენებათ თქჳენცა და სხჳსათაც, რომ დიდი ხანია დანიშნული ვარ ელისაბედზედ; იგი ეხლა ატარებს ჩემს ნიშანსა; და შემდეგ უნდა ჩემი სახელიც ატაროს....

—აა, გეშინიან არ დაგეკარგოს ნიშნის ბეჭედი!.. მიუგდე, ელისაბედ, თავის ბეჭედი!...აჰა ესეც მეტი! შეჰყჳრა ბატონის შვილმა, რა გამოიძრო თავის თითიდგან ძჳრფასი ზურმუხტის ბეჭედი და მიარტყა ელისბარს გულში.—ბეჭედი წკრიალით გაგორდა ივანე არღუთაშჳლის ფეხებისაკენ.—ივანე დასწჳდა, აიღო ბეჭედი და როცა აწოდებდა მას ელისბარს უთხრა ღიმილით:

—გამომართჳ, ნუ გრცხჳენიან; ბატონის შვილი გიორგი მეტად კეთილის გულისა არის, რომ იმეტებს ამისთანა ბეჭედს. გაეცალე, კარგი; ხომ ხედამ ელის-

ბედმაც სიმართლით გადაგაყენა თავის ქრმობიდგან...

შენისთანა გულ-ფიცხს იგი ვერ შეიფერებს... ახლა სხუაზედ დაინიშნე ამ ბეჭედით; ჩუენ ვენდობით შენს ამორჩეულსა.

ელიზბარმა ამოჰკრა ჴელი ივანეს ჴელსა და ბეჭედი შორს გარდააგდებინა

—გველო, გველო! შეჰყჳრა ელიზბარმა: კიდევ ჩაიცჳ მგლის ტყავი! მე კარგად ვიცი, ეს ყოველი შენი საქმეა; შენ გამოანადირებდი აქეთკენ ბატონის შჳლსა და მითომ შეცრად....

—მართალია, უთხრა ივანემ ღიმილით: ჩუენ მელას ვნადირობდით, და მშუელი შეეფეთა ბატონის შჳლსა. ნადირსაც მონადირე მოეწონა.—

ელისბარმა იტაცა ხმალს ჴელი, მაგრამ ისევ თავი შეიკავშირა.—იგი მიუბრუნდა კუალად ბატონის შჳლსა

—დიდის თქუენის მზეს, ბატონის შჳლო, მაკმარე ეს ტანჯუა და სირცხჳლი.. ნუ გამხდით ამ ბოროტის კაცის გულისას... ნუ ინებებთ ჩემს წახდენას და ამ ოჯახის შერცხუენასა... გარდგიხდი ამის სიკეთეს: თითო წუეთით დავღვრი ჩემს სიცოცხლესა თქუენს სამსახურში...

ბატონის შჳლი ირყეოდა. დიდ სულოვნების გრძნობამ უკვე გადასძლია მის გულის გარყვნილებასა; მაგრამ ივანე გარდელობა.

—განა ამ დროსაც მოვესწარი, ჰსთქუა ივანემ, რომ თამარ დედოფლის შჳლსა, საქართუელოს ტახტის მემკჳდრესა, სახლიდგან ითხოვდენ და თავლაში უნიშნამდნენ

ადგილსა დასაწოლად!

ელისაბედი და თავის მამა გაბრუნდნენ შინისაკენ.

—მართლა, შენ ჩემის მოთმინებით მეტად სარგებლობ, ელიზბარ! შეჰყვირა ბატონის შვილმა: გიბრძანებ გადი, გაგვეცალე აქედგანა!—მე პირჳელად მოვსულვარ აქ სტუმრად, და ვიდრე მე აქა ვარ, სხჳას არავის შეუძლიან აქაურობის აღშფოთება.

—ბატონის შვილო, მე აქედგან გამსვლელი არავარ; თქჳენც აქ ბძანდებოდეთ და მეც; ერთად ვილხინოთ.—

—ეე, შენმა ახირებამ და სიბრიყვემ მე მოთმინება გამომილიეს! ჰსთქჳა ბატონის შვილმა: უბძანე, ივანე, აქედგან გაიყვანონ!... მანამ მე აქა ვარ, ეს სახლი ჩემია.

—გაიყვანონ! წარმოსთქჳა ელიზბარმა განგრძელებით და დაიდო ხმალზედ ჴელი. თუ გასვლა არის, მაშ ყველანი ერთად უნდა გავიდეთ აქედგანა.

—აა! ემუქრები ბატონის შვილსა? შეჰყვირა სიხარულით ივანემ: მე მიკჳრს ან ამოდენი ხანი როგორ მოგითმინა. ბიჭებო. აქ მოდით! გამოვიდნენ ოთხნი დაიარაღებულნი ბიჭები, რომელნიც აქამდინ კაკალ ქჳეშ ჰყვანდათ დამალულნი.

—ჰსტაცეთ ამას ჴელი და გაიყჳანეთ ბაღიდგან, უბძანა ივანემ: მერე კარები დაუკეტეთ, და იქიდგან იღრინოს, მანამ კბილები არ შემოაცჳდეს!

ელისბარი გაყჳთლდა და შეხედა ივანეს ასეთის თვალებითა, რომ თითქოს უნდოდაო იმის იქვე გაქრობა: ერთი ფეხიც გარდასდგა იმისაკენ; მაგრამ ისევ თავი შეიმაგრა და უთხრა: შენმა სულმა ზღოს, თუ აქ ქრის-

ტიანის სისხლი დაიღჳაროს. ამა სიტყჳებით მან მიატანა ერთს დიდს ხესა და რა წელი მიაყურდნა მას, ამოიღო ხმალი.

ბიჭები შეფერხდნენ.

—ვის წინ იღებს ხმალსა, ეგ საძაგელი! შეჰყჳრა ბატონის შჳლმა გიორგიმ გაანჩხლებულმა და მიიჭრა ელისბართან. ჩააგე ხმალი. მამა ჩემი დავით სოსლანი არ წამიწყდება, თორემ ლუკმა ლუკმა აგჩეხამ! და მან წაავლო საყელოში ჴელი. და უნდოდა მოეშორებინა იგი ხიდგან.—

—ბატონის შჳლო, მომშორდი იქით! სისხლი მიჩუხჩუხებს!.. მოახსენა ყრუის ხმით ელისბარმა, და ძლიერის ჴელით ჰსტაცა ლაშა გიორგის მაჯაში და ჴელი მოაშორებინა საყელოდგან.

ივანე მივარდა და ჩაუდგა მათ შუაში.

—რას შჳრები, ბატონის შჳლო! მოახსენა მან: რა თქჳენი საქმია ამ მხეცთან ჭიდაობა.მადლობა ღმერთსა,ამის მოსარევად საკმაო კაცები გახლავან.მოდით ახლოს,ბიჭებო, და შეჰკარით!—

ელისბარმა აღწია ხმალი და უნდოდა, რომ მისთჳს სამუდამოდ ბოროტი ენა ჩაეწტყჳეტინებინა,—მაგრამ ისევ ძირს დაუშჳა. მას არ უნდოდა გაესვარა გესლიანს სისხლში ის ხმალი, რომელიც ესრედ ხშირად ამოღებულა ქარქაშიდგან მტრის შესამუსვრელად და მამულის დასაცჳელად. მხოლოდ ელიზბარმა ჰკრა ძლიერად ჴელი ივანესა და შეახეთქა ბატონის შჳლსა, რათამცა ჰქონოდა მას მოსაგერებელი ადგილი, თუ რომ უეცრად

ბიჭები მიჰსცვივნულიყვნენ.

—ჰხედამ მაგ მხეცსა! შეჰყჳრა ბატონის შჳლმა, და კუალად მივარდა იგი ელისბარს და ჩამოაგლიჯა გულის პირი.

—ბატონის შჳლო, მომერიდე, სისხლი ყელში მომაწუა ..

—დაგცლი მაგ ცუდის სისხლიდგან! დაიძახა ბატონის შჳლმა და მოისმა ლაწანი.

—ოჰ, მე მაგას ვერიდებოდი და კიდევ არ ამცდა! ჰსთქუა ელისბარმა: ღმერთმა ამისთანა სიცოცხლეც შეარცხჳნოს. მან უკუჱ გაშალა მკლავი; მაგრამ ამ დროს მივარდა მას ივანე, და ბატონის შჳლისათჳს დანიშნული სილა გეეთხლიშა ივანეს ლოყაზედ.— იგი დაბარბაცდა; ბატონის შჳლმა ვერ მოითმინა. იგი კუალად მიჰსწუდა ელისბარს თმაში; ამან ძლიერად ჰკრა კელი; ბატონის შჳლი დაეტაკა ხესა, და ერთი გამხმარი ტოტი ამისი ემგერა მას თუალში —

—ვაჲ მე თუალი! შეჰყჳრა მან; თვალი გამომთხარა მაგ ღუთის მტერმა!—

ამ დროს მისცვივდნენ ელისბარს ბიჭები.—არა ჰსჩანდა ბნელაში მათი ბღლაძუნობა. მხოლოდ ისმოდა ელისბარის ხმა: ეს შენა! ესეც შენ გეყოფა!.,. აგრეთვე ისმოდა დაჭრილების ამოსკუნა, ლანძღუა მათი და საჭურავის ჩახაჩუხი!...

—ნუ მოჰკლამთ; თუ ღმერთი გწამსთ, ნუ მოჰკლამთ! ყჳროდა გაცოფებული ბატონის შჳლი გიორგი. რომელმაც ერთს ბიჭს კელიდგან გამოგლიჯა ხმალი, ჩემის კე-

ლით უნდა დაიხჩოს ეგა!... გამიშვი, ივანე გამიშვ! და ბატონის შვილი ცდილობდა განთავისუფლებულიყო ივანესაგან.—

—არ შეიძლება, ბატონის შვილო! ეუბნებოდა ივანე: შენ მეფე ხარ საქართველოსი, შენი ხელი არ უნდა გაისვაროს ამ საძაგლის სისხლში: შენი ხმალი მხოლოდ მტრის მოსასპობლად უნდა დაიძრას ქარქაშიდგან!—განა მე ვერ მოვკლავ, მაგრამ ეგ ჯალათების ხელით, თავის ბედის წერას აუტანია, რისაც ღირსია, ისე უნდა დაისაჯოს.

ეს უთანასწორო ბრძოლა დიდ ხანს არ გაგრძელდა. ჩემს ბატონს ელისბარს წაართვეს ხელიდგან ხმალი, მოხსნეს ხანჯალი, შეუკრეს ხელები და მიაბეს ხეზედ.—მეც საშინლად მიკაწკაწებდა კბილები; რამდენჯერმე შევდგი ფეხი ღობეზედ; მინდოდა გადამხტარიყავ ხლმით და ერთი ორიოდე კაცი, მეტადრე ივანე არღუთაშვილი, იქვე ამეკეფა. მაგრამ ვიცოდი, რომ მე ამით ბატონს ვერ გამოვიხსნიდი და ჩემს თავს უბრალოდ წავიხდენდი; პატარა შალვაზედ მზრუნველობა მე ჩამაბარა ბატონმა ელიზბარმა: ამან უფრო შემაფერხა.—

შალვამ შეჰსწყვიტა კითხვა. მას მოსდიოდა ცრემლები თავის მამის უბედურებაზედ; მაგრამ თითქოს შერცხვა ამ ცრემლისა, მან ჰსთქვა მტკიცე ხმით:

—გმადლობ, მამაჩემო! შენს ალაგს მყოფი, მეც ეგრე მოვიქცეოდი. გუჯარეთის ქალი და არავისთვის არ დაგინებებია იგი უსისხლოდ, ვიდრე პირში სული გედგომის. მაგრამ როგორ შემცდარხარ, მამაო! იმისთანა ქა-

ლი როგორ ამოურჩევია შენს გულსა, რომელსაც ქმჳს თჳსზედ სხჳაზედ გაუცვლიხარ!... ოო, მე რომ ვყო-ფილვიყავ, წინაწინ იმ ქალს გაუჭრიდი მკერდსა, ამოვა-რთმევდი მოღალატე გულსა და ხანჯლის წჳერზედ შევ-ჰსწვამდი... შენ მეტად გყვარებია და ვერ გამოგიმეტია; მაგრამ სხჳებს საკმაოდ ჯილდო მიუღიათ... ჩჳენს ეხ-ლანდელს მეფეს ლაშა გიორგის ერთი თუალი გამოთ-ხრილი აქჳს; ნუ თუ ეს მამინდელი ბრძოლის ნიშანია! მაშ მე რაღას მოველოდე იმისაგან კეთილსა? ვჰგრძნობ რომ მეც მწარე ბედი მომელის, მაგრამ არ შეგარცხჳენ, მამავ! შენი სისხლი მდის მეც ძარღჳებში. მეც მიყუარს ქალი, მაგრამ არა მსგავსი შენის ელისაბედისა. მეც დავანთხევ ამისთჳს სისხლსა,.. რას იტყჳ, თამარ? განა, შენ არავიზედ გამცვლი, თუ გინდა მეფე იყოს ჩემი მე-ტოქე? განა უბრალოდ არავის სისხლში ჩამყენებ?—

—არა, არა! ჰსთქუა ქალმა შეძრწუნებით: ღმერთმა დაგვიფაროს შენცა და მეც ღალატობისაგანაც და სისხლი-საგანაც!.. ოო, რა გული გაქჳსთ კაცებსა...

—დააბოლოვე, დააბოლოვე; ჯერ არა ჰსჩანს მამიშენის სიკჳდილი, არც დაჭრილობა. იქნება ღმერთმა უშჳელოს და დაიხსნას იმათ ჴელიდგან. შალვამ აიღო რვეული და განაგრძელა:

«ელიზბარი შეჰკრეს მაგრა და ხეზედ მიაბეს; მაგრამ იგი კჳალად ყჳროდა; «ბატონის შჳლო! აღარ გახლავან ბიჭები? ისინიც მოიშჳელიეთ; შეჰყარეთ მთელი სოფე-ფელი; გამოაცხადეთ საქჳეყნოდ თქჳენი ღჳაწლი და დამარცხება!—

—პირში ჩაჭსტენეთ რამა! უბძანა ივანემა ბიჭებს. მე კაცის პირით გაცნობებთ შემდეგ, რაც უნდა უყოთ მაგ ცოფიან მხეცსა. მანამდისინ ყური უგდეთ კარგად, ჭელე-ბი არ აიხსნას,—ეგრე მაგრა შეკრული გყვანდესთ. და ივანემ წაავლო ბატონის შჳლს ლაშას მკლავში და ბაღის ბოლოსაკენ ჩ'ვლეს მათ.—

მეც ღობე-ღობე მივჭსდევდი მათ გარედგან; მინდოდა შემეტყო, რას ილაპარაკებენ იგინი და რით მოელება ბოლო ამ საქმესა.—

—ივანე! ქუბნებოდა გაჯავრებულის ხმით ბატონის შჳლი: თუ რომ შენ არ დაგეჭირე ძალად, ეხლა განთავისუფლებული ვიქმნებოდით იმისაგანაც და სჳნიდისი-საგანაც .—

—მართალს ბძანებ, მაგრამ როგორ შეიძლებოდა შენი მიშვება; ჭხედამდით, ცოფი ჭსდიოდა პირიდგან. იმას რომ დაესწრო პირველი ხმლის დაჭკვრა? მაშინ რაღა პასუხი მიმეცა ან დედოფლისათჳს ან ქვეყნისათჳს? შენ არ უნდა დაივიწყო, რომ შენი სიცოცხლე შენ არ გეკუთვნის, არამედ შენს ხალხსა, რომლის მამა უნდა გახდე დღეს არის თუ ხვალა. იმათ დასაფარავად არის შენი ხმალი დანიშნული, და არა ერთის მხეცის სასიკვდილოდ.

—ეჭ, რაებს გარდაჭსცემ! შეუტია ბატონის შჳლმა გაჯავრებით, შენის მოწყალებით მე აქ თვალი გამომთხარეს, და შენ მეფობის ვალდებულებას მიქადაგებ! რაზედ გამაბი ამ სულელურს მიჯნურობაში, რომელიც მე სრულებით გუნებაშიც არ მედო! ახლა რას ემსგავსება ჩვენი მდგომარეობა?—მე თვალი გამომთხარეს, შენ

პატიოსანი სილა გითავაზეს; იქ ორორი კაცი დაგჳჭრეს და ყოვლის ამის სამაგიეროდ ერთს კაცს ქალები გაუგა-რით ექუსის კაცითა!... მერმე რა კაცს, რომელიც დღეს ესრედ უყუარს დედა ჩემს, და რომელსაც ჩუჱნის გული-სათჳს უმეტესი ნაწილი სიცოცხლისა თჳსისა მტრის ბანაკში გაუტარებია!... რა სახელია ჩუჱნთჳს იმისთანა კაცის წახდენა!

—ბატონის შჳლო, მე რას მაყუჱდრით! თქუჱნ არ გაგიყდით ელისაბედის დანახვაზედ? ეს იმის გულისათჳს მოხდა, ჩემსგამო ხომ არა!

—შენ ამდენი ჩამაკუჱსე ყურში, აი ელისაბედს უყუარ-ხარ და ჭკაი გიყდება შენთჳს, რომ მეც ღჳნოსთან იმისი სიყუარული ტჳნში გამიჯდა.—

—ტყუილი არ მომიხსენებია! თქუჱნის გულისათჳს არ გამოიმეტა ელისაბედმა თავისი საქმრო და ნამუსი? მაშ სიყუარულის დამტკიცება სხუა რიღათი შეიძლება ქალე-ბისაგან?

—მე მაგათი არა მწამსრა! ეხლა მაგ საგანზედ ლაპა-რაკის დროც არ არის, რა უნდა უყოთ ახლა ჩუჱნ ელიზბარსა?

—რას უშვრებიან ხოლმე მეფის მოღალატეთა.?

—რა, მითომ მოვაკვლევინოთ? ჰსთქუა ბატონის შჳლმა შეძრწუნებით, არა, არა! ეს უბედური შემთხუჱვაა და არა სიღალატე მეფისა. გარდა ამისა, ელიზბარი დედის ჩემის საყუარელია; იგი დაიწყებს გამოძიებას ამის სიკუდილზედა, და მე არ მინდა, რომ გამოცხადდეს მიზეზი ჩუჱნის ჩხუბისა .. ოჰ, თუალი საშინლათა

მტკეს! სისხლი ვერ შევიწეჳტე..

—ბატონის შჳლო! თქჳენ ვერ მიხჳდით ჩემს აზრსა მოახსენა ივანემ: სიკჳდილი სხჳა და სხჳა ნაირია; ელიზბარი საკუთრად თავისთჳს ცოცხალი იყოს და ქჳეყნისათჳსვე მკჳდარი, ესე იგი იმისთანა დარბაზი ამოურჩიოთ საცხოვრებლად, რომ სიკჳდილს თჳთონვე გვთხოვდეს ვითარცა მოწყალებასა.

—დედოფალი რომ გულმოდგინებით შეუდგეს გამოკითხჳას?

—თუ რომ იძულებულნი ვიქნებით გამოვაჩინოთ, მოახსენა ივანემ: მაშინ თქჳენ შეგიძლიანთ მოახსენოთ დედოფალსა, რომ რადგანაც ელიზბარი გიპირებდათ გელის შემოხვებასა, თქჳენ მიიღეთ დოწისმავება იმის შესაპყრობლად, რომ არსად გაქცეულიყო, ვიდრე კანონიერად მოეკიდნენ ამ საქმესა და გარდასწყჳიტონ.—მანამდისინ... ხომ მოგეხსენებათ ჯურღმულის ჭაურს არ აქებენ სიმრთელისათჳს, და თქჳენი რა ბრალი იქნება, თუ რომ ერთს დღეს ამბავს შემოიტანენ, რომ ელიზბარი ამ ცრუს და დაუდეგრომლის სოფელიდგან გარდასახლებულა საცხოვრებლად თავის წინაპრებთან—

—ოჰ, ოჰ! შეჰყვირა ბატონის შჳლმა, რა მიიღო გული თვალზედ: იმას რაც უნდა უყოთ, მე იმის ტანჯვით ეს თჳალი არ მომირჩება, თითქოს სადგისებს მაყრიანო, ისე მტკეს... რა ეშმაკად მოგაგონდა ჩემი აქეთ წამოთრევა! როცა ელიზბარი ჯჳარს დაიწერდა, იქ არ ჩამოიყჳანდა!...

—ბატონის შჳლო, მაშინ სხჳს ცოლი იქნებოდა და

ეხლა.....

—კარგი თუ ღმერთი გწამს, ნუღარ მაგონებ .. რაც გინდა უყავ იმ საცოდავს. მე არ ჩავდგები იმის სისხლში. წამოდი ერბოში ბანბა მოაშუშკანე, იქნება თვალი გამიგრილდოს... ელიზბარს შვილები ჰყავს რამე?

—ვგონებ ერთი ძუძუთა ვაჟი ჰყავს, მოახსენა ივანემ.

იგინი წავიდნენ ელისაბედის სახლისაკენ.—

«მე მაშინვე გავექანე მისისაკენ; გამოვიყვანე თავლიდგან შეკმაზულნი ცხენები და უთხარი ჩემს ცოლსა:» ადეგ და ეხლავ შეუდექით ახალციხის გზასა; ბატონის ბარათი არ დაგავიწყდეს მღვდელთან. შალვას გაუფრთხილდი; შენი მარჯვენა ძუძუ მაგას და მარცხენა ივანეს, და თუ გაჭირდეს, ივანეს სიცოცხლეც მაგას... მშვიდობით —ჩემთჳს ნუ ინაღვლებ... თუ აქ ველარ ვნახამთ ერთმანეთსა, იქ გიპოვნი როდისმე. საიქიოს. .»

მე მაშინვე მოვიჭირე ბაღის ბოლოში და იქ მივაბი ცხენები. ჩემი ფიქრი ეს იყო რომ გამეთავისუფლებინა როგორმე ბატონი ელიზბარი და გამექცია; მაგრამ იგი ხეზედ იყო მიბმული და ოთხი ხუთი კაცი იარაღით თავზედ ადგნენ.. ვხედავდი, რომ აქ ძალა არ გამოდგებოდა; უნდა ისევ ეშმაკობა მომეხმარებინა, და ფიქრის დროც აღარ იყო. მე თითქოს ღმერთმა მომაგონა იმ დროს ივანე არღუთაშვილისაგან ნათქვამი სიტყვები; იმან უთხრა მცველოთა: «შემდეგ გაცნობებთ კაცის პირითა, რაც უნდა უყოთ ელიზბარსაო»—ივანეს ხომ არ უხსენებია, რომელის კაცის პირით აცნობებს მაშასადამე შეიძლება, რომ ის კაცი მე ვიყო.—ამ ფიქრით გადავეშვი ბაღში

და რა თავში ავიპარე, იქიდგან საჩქაროდ და ხმიერებით ჩამოვიჭერ მცჳელებთან. მიუბრუნდი მათ. გაუხმე ცალკე და უთხარ: «ბატონის შჳლმა და ივანემ მიბძანეს მომცეთ ის კაცა, რომელიც აქ გაბარიათ შეკრული. ცხენებიც გაგზავნეს ბაღის ბოლოში, რომ სადაც ადგილია იქ წავიყვანო. მე მათ წავჩურჩულე საიდუმლოდ, რომ ჩაბარებული მაქჳს თვალები დავთხარო და თჳთონ ალაზანში გაუთხარო სათვლავი.»—ამ სიტყჳებთან მე ხანჯლის შჳლი ამოვიძრე და გშინჯამდი იმის წჳერის სიმახჳლესა. მცჳელებმა ამ გჳარი სასტიკად მოქცევა ელიზბარისა საზიზღრად მიიღეს და მაშინვე შემომეფანტნენ. მეც იმას ველოდი.—მე მაშინვე მივახლოვდი ბატონსა. მახ მიცნა. მე ტუჩებზედ კელი დავიდე ნიშნად, რომ ხმა არ ამოიღოს და ყურში უჩურჩულე რაც განზრახულება მქონდა.—იგი მაშინვე მიხვდა ყველას, და როდესაც იმის თვალებთან ტყუილად დანა მივიტანე, მან შეუსვენულად შეჰყჳრა: «ვაჲ, თვალი თვალი! მოშორდნენ სინათლეს, როგორც მე მაშორებენო!... შემდეგ ამოვიღე ჯიბიდგან ხელცახოცი და აუკარ მითომ დაჩიჩქნილი თვალები. დანის წჳერი ვიტაკე თითში და იმის სისხლით მოვსვარე ბატონის სახე და ჩემი კელები. შემდეგ დაუსვი ხანჯალი თოკსა და ბატონი მოვხსენ ხისაგან. მომახლოვდნენ მცველები. იგინი სისხლით და ბატონის უშვერი ლანძღვით დარწმუნდნენ ჩემს მოქმედებაზედ და შეძრწუნდნენ.—მაშინ კელები ზურგზედ გაკრული ბატონი გამოვიმძღჳარე ბაღის ბოლოსაკენ, საითკენაც მომდევდნენ მცჳელნიც. მათ ნახეს მართლა ბაღის ბოლოს მიბმულნ

ორ-ორი ცხენი შეკაზმულნი, გარდავედით ბაღსა, და მალის ძალად შევსვით ბატონი ცხენზედა, კიდევაც თოკით გაუბი მე ფეხები, რომ ცხენიდგან არ გადმოვარდნილიყო.—დავიწერე პირჯჳარი, დაუჭირე ბატონის ცხენს ჯილავი და შეუდექ გზასა. რა მცჳელელებს თვალი მოვაშორეთ, მაშინვე განვათავისუფლე ბატონი თოკებისაგან, მოვხსენ თუალებიდგან ხელსახოცი და დავაჩქარეთ ცხენები ალაზნისაკენ.—

გმადლობ, ჩემო ჭკვიანო პეტრე ერდგულაძევ, მითხრა ბატონმა: მე თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ ყოველთჳს მზათ იქნებოდი შეეწირა ჩემთჳს თავი, მაგრამ არ ვიცოდი თუ მაგ ერთგულ თავში მაგდენი ტვინიც იქმნებოდაო, დღეის შემდეგ, რასაც მეტს ვიცოცხლებ, შენგან ვიქმნები დავალებულიო. იქნებოდა მეორე მამლის ყიული, როგორც მოვატანეთ ალაზანსა, რომელიც თიბათჳს თვე იყო და აღელებული მოდიოდა და მოჰქონდა თან არე მარე.—არა მცოდნე ფონისა, ჩჳენ ვერ გავბედეთ ღამე გამოსვლა. მაგრამ ჩჳენს იქ დარჩენასაც გათენებამდინ შიში ჰქონდა: ივანე არღუთაშჳლს შეეძლო, როგორც დაჰპირდა მცჳელებს, ჩამოეგზავნა ბაღში კაცები ელისბარის დასატუსაღებლად ანუ ასატეხად რისამე. იგინი ამბავს აიტანდნენ, რომ ბაღში აღარავინ არის და რა იწვრილებდნენ, მდევარს გამოგვიყენებდნენ.- ჰსწორეთ ესრეც მომხდარიყო. გათენების ლოდინში ჩჳენ ჩამოვხდით ალაზნის პირზედა; ბატონი დაღალული და დაბეგვილი იყო და მიწვა თვალის მოსატყუებლად. მე კურდღელივით თვალი და ყური გზისაკენ მეჭირა. იქნე-

ბოლოდ გარიყრაყი, მე შორიდგან მომესმა ცხენის ფეხის ხმა.—მაშინვე ბატონი გავაღვიძე და მოვახსენე. ჩუჱნ არ ვიცოდით რა გვექმნა; მაგრამ ყოვლის შემთხჳჱულებისათჳს შევსხედით ცხენებზედა და ჩავაყენეთ წყალში.—რა შორი ახლოს გამოჩნდნენ ექვსნი ცხენოსანნი, მე შევსძახე მათ, ფონი ხომ არ იცით მეთქი.—ერთმა მათგანმა დაიძახა: » უთუოთ ისინი არიანო, » და გამოაჭენეს ჩუჱნკენ ცხენები. მაშინ ეჭვი აღარ იყო, რომ ჩუჱნი მდევარნი იყვნენ იგინი. ვახსენეთ ღმერთი, დავიწერეთ პირჯუარი და შევაგდევით ცხენები წყალში,—ბატონის ცხენი ღონიერი იყო და პირდაპირ ჰსჭრიდა წყალსა; ხოლო ჩემს ცხენსკი ზვირთი ძალას ატანდა და ქვეით დასწია. ჩუჱნ—მდევართაგანნი—სამნი თან შემოგვყვნენ წყალში და სამთა რიყიდგან დაგვიწყეს თოფის სროლა. ხოლო რადგანაც მე უფრო ახლოს ვიყავი მათგან, მე დამკრეს თეძოში და გარდავეკიდე ცხენსა, ფაფარი ჴელში მაგრა დაჭერილი; ცხენი დიდხანს ებრძოდა წყალ-სა და დასასრულ გამიტანა ნაპირს, მაგრამ მეტად შორს იმ ადგილიდგან, საიდგანაც პირუჱლად შევიყვანე წყალ-ში ცხენი, ასე რომ სრულებით ვეღარ ვხედავდი ჩუჱნ მდევარსა.—მისუსტებული სისხლის დენით, მე მივჯექ ბუჩქის ძირში და ცხენი მივუშვი ბალახზედ. როგორც იყო დავიკარ აბედი წყლულზედ და შევიხვიე; მაგრამ მე დაჭრილობა ისე არ მაწუხებდა, როგორც ბატონის უან-ბობა: წყალშივე მეორესა, მე ორჯერ მომესმა გაღმა თოფის ხმა:ეს მაჯერებდა, რომ ბატონი მშვიდობით გასულ-იყო ალაზანსა;მაგრამ დაჰსჭრეს, მოჰკლეს, დაიჭირეს თუ

წაუვიდათ, ამისი არა ვიცოდირა. დაღალულებამ და სისუ-სტემ მომგვარეს ძილი; და როდესაც თუ̂ალნი გავახილე, მზეს უკუ̂ღ გამოევლო კარგი მანძილი. რამდენჯერმე ვეცადე ცხენზედ შეჯდომას, მაგრამ დაჭრილობა არ მი-შუ̂ბდა; მე მხოლოდ იმდენი შევიძელი, რომ მეორეს დღეს მივახლოვდი ალაზნის ფონსა სამოგზაურო გზაზედ, რადგანაც ვიცოდი. რომ იმ დღეს ანუ იმ ღამეს უთუოთ წამოვიდოდნენ ჩემი ძმა და ჩემი ცოლი უმაწვლებით ახალ-ციხისაკენ.—იქ ახლოს ბუჩქებს შევეფარე; იმ ჟამად მგზავრებიც ბევრნი არ დადიოდნენ. რადგანაც წყალდი-დობა იყო. მეორეს დღეს განთიადისას გამოვიდა წყალს ჩუ̂-ნი ურემი, რომელმაც მომიმოვა დიდი სიხარული, ამი-ტომ რომ შიმშილი დაწყლული აღარ მასვენებდნენ.—იგი-ნი გაოცდნენ. რა მპოვეს მე იმ მდგომარეობაში. კხე-დავდი, ორივეს სურდათ ბატონის ანბის გამოკითხუ̂ა, მაგრამ ვერა ბედამდნენ. მე მხოლოდ შევჴხედე ცასა და ვუთხარი: თუ ღმერთს უნდა, იქნება მშვიდობით ჩაახწიოს ქალაქში.—მათ იგმარეს ეს პასუხი; მე შემიხვიეს საჩქა-როთ წყლული; ჩაუწვექი ურემში; გადავიარეთ დუშეთზედ, მეექუ̂სე დღეს მივედით ახალციხეს ეფრემ მღუ̂დლისას — მან მწუხარებით მოისმინა ჩემი მოთხრობა ბატონის გამო და მეორე ღამესვე სოფლად გაგვისტუმრა ახალციხიდგან საც-ხოვრე ბინად, ვიდრე ძებნის შიში გაივლიდა.—ჩემი მარინე, ღმერთმა გარდუხადოს მას სამაგიერო სიკეთე, ასე ინა-ხამდა შალვასა, რომ ცივს ნიავს არ ადენდა, და მგონია ღმერთმაც არ დაგვიკარგოს ჩუ̂ნი ამაგი, ამიტომ რომ ჯერ უმაწვლი მრთლიანად იზდება.—თუმცა ყოველ წლივ

ვგზავნიდი ჩემს ძმასა ქალაქში ბატონის ანბავის შესატყობრად, მაგრამ ჩჳენ ველარა შევიტყვეთრა იმისი; მეც ეხლა ისე ვჭკჳდები, რომ არა ვიცი რა: ცოცხალია, მკჳდარია, დაჭერილია თუ თავისუფალი? ღმერთმან ინებოს, რომ სიცოცხლე მისი შენახული იყოს თავის პატარა შალვასათჳს. მაგრამ ეს ერთი შავი ფიქრი განუშორებლივ ყურში მიჩურჩულებს: თუ ბატონი ცოცხალი ყოფილიყო, იგი ამოდენის დროების განმავლობაში გვაცნობებდა როგორმე თავის ანბავსა და შალვას უნახავს არ დაავდებდა.—ღმერთმა ნუ აღასრულოს ეს ფიქრი.—ღმერთმა ერთხელ მაინც კიდევ აჩჳენოს შალვა თავის მამასა, რომ ბატონმა იმისი ჯვარი საფლავში არ ჩაიტანოს.—ღმერთმა მოხედოს შალვასა, რამეთუ ეგ ერთი შტოღა არის დარჩენილი დიდის ჩამომავლობის ხისა...

შალვამ უკჳე გაათავა კითხჳა, მაგრამ რამდენსამე წამს კჳალად ჩაჰსცქეროდა ამ რვეულსა დაფიქრებული. დასასრულ მან ოხვრით დაკეცა რვეული და შეხედა თამარსა; ამისი თვალებიც მას შესჩჳდნენ.

—ახლა რა უნდა ჰქმნა? ჰკითხა თამარმა მონაწილეობით.

—რაღა უნდა ვჰქმნა, უპასუხა შალვამ: გუშინ, კიდრე შენა განახამდი, გარდაწყჳეტილი მქონდა გუნებაში მომეთხოვა მეფე გიორგისათჳს და ივანე არღუთაშვილისათჳს ანგარიში რა უყვეს მამაჩემსა—მოკლეს თუ დაარჩინეს.—თუ ცოცხალი ეყოლებათ, გამოვიხსნიდი როგორც იქნებოდა, და თუ მოუკლავთ, მოვთხოვდი იმათ იმის სისხლსა!.. მაგრამ ეხლა, რა შენა გნახე, მე თავს ისე

ველარ გამოვიმეტებ სასიკჳდილოდ, როგორც გუშინ.— ეხლა შენზედ არის თამარ დამოკიდებული, შევკლა მეც თავი მეფესა მამიჩემისავით, თუ ვიცოცხლო შენთჳს, გიმყოფებოდე სამოთხეში სიკჳდილამდინ შენის ცქერით, შენის ტკბილის ალერსით.—ნუ დაეჩქარები წარმოსთქო ჩემთჳს საუბედურო სიტყჳა; იფიქრე, წარმოიდგინე შენი მდგომარეობაცა, გულს დაეკითხე: ნუ თუ ეგ უმანკო გული მოინდომებს ჩემს საუკუნედ ტანჯჳასა? ნუ თუ ჩემს სასარგებლოდ არას გირჩევს?... ეს გქონდეს გუნებაში თამარ, რომ შენ ჯერ შენის შთამომავლობისა არა იცირა, რომ შენ მიჴსნეჳ ორს უცნობს კაცსა ქალაქში, სადაც გვიზის უცოლო მეფე, რომლის შავი მოქმედებაც ეხლა წავიკითხეთ.—იქ არ იცი ჯერ რა მოგელის: ნამუსიანი სიღარიბე, თუ უნამუსო სიმდიდრე.—ყოველი ეს აჴსწონე შენს გუნებაში და ისე გარდასწყჳტე ჩემი ბედი. ჩუჱნს ლაპარაკში მხოლოდ ღმერთი არის დამსწრე. ამისათჳს მორცხვობით რომ წარმოსთქო უარი, იცოდე, რომ ამ ცოდოს ვერას კეთილის საქმით უკვე ველარ შეინანიებ: პირუტლად ღმერთს მოატყუებ და მეორედ კაცის მკვლელობაში ჩაჴდგები. თამარ, შენ რომ მეთანხმო, შენ რომ მოისურვო ჩემი გაბედნიერება, ჩუჱნ ეხლავ გავალთ ამ კოშკიდგან, შევსხდებით ჩუმათ ცხენებზედა, და ვიდრე შენი მგზავრები გამოიღვიძებენ, ჩუჱნ უკვე ქართლისაკენ საკმაო გზა გვექმნება გავლილი. თუ გინდა, რომ ამათ სრულებით კუალი დაჰკარგონ შენის გაპარვისა, ამ ქაღალდზედ დაჴსწერე შენის კელით ორიოდ სიტყჳა: „არადგან. მითომ დარწმუნებით იცოდი,

ანუ გული გეუბნებოდა, რომ შენ მიჰყვებართ ქალაქში მეფესთან გასაუპატიურებლად, ამისათჳს შენ ირჩიე ნამუსიანი სიკვდილი უნამუსო სიცოცხლესა; მიანდე სული ღმერთსა და ხორცი მტკვარს.»— ხვალ დილით ეს წერილი რომ აქ დახვდებათ, შენი მგზავრები დაიწყებენ თავში ცემასა და შეუდგებიან შენს ძებნასა წყალში. ხოლო რადგანაც მტკვარი ქვეით მიდის და არა ზევით, იგინი ახალციხისაკენ სრულებით ვეღარ მოხვდებიან.— შემდეგ, რა ჩვენ ჯვარს დავიწერთ, ვინც უნდა გაიგოს ჩვენი ამბავი. თუ პატრონი გყავს, ხომ სიხარულით მიიღებენ ცნობასა შენის სიცოცხლისასა და ადვილად მოგიტევებენ ამ მოხერხებასა, და თუ არა გყავს, ეგ უკეთესი: ჩვენ ვიქნებით ჩვენის თავის პატრონნი. — მე ესეც უნდა მოგახსენო თამარ, რომ რა თერთმეტის წლისა შევიქენ მე, ახალციხის ეფრემ მღვდელმა შიშით აქ აღარ დამაყენა, და გამისტუმრა საბერძნეთში ათინაში სასწავლებლად. იქაც ათი თერთმეტი წელიწადი დავჰყავ და რა კვალად ჩამოველ საქართველოში პეტრე ერთგულაძის ცოლმა ჩემა გამზრდელმა დამახვედრა მამიჩემისაგან მიცემული მრავალი თვალ-მარგალიტი და კოშკებით მიწაში ჩაფლული ფული, რომელიც მეტად საკმაოდ არის ჩვენს საცხოვრებლად.

—სულითა და გულით გმადლობ, ჩემო შალვავ, მაგ უანგაროს და პატიოსნურის განზრახულებისათჳს; მე ეგ საკმაოდ მიმტკიცებს შენს მხურვალეს გრძნობასა ჩემს გამო; მაგრამ უნდა მომიტევო, რომ მე არ შემიძლიან ვისარგებლო შენის გამო უცდელობითა და ტფილის გულის

მოძრაობითა. პირჳელად—მე ვერა ვიქმ იმ საქმესა, რომელიც ჯერ საქართჳელოში არ მომხდარა, ესე იგი ქალის გაპარება;მეორედ—მე ვერ განვათავისუფლებ მამის შენის მოვალეობისაგანა: შესაძლებელია, რომ იგი ცოცხალი იყოს სადმე და ელოდეს შენგან შჳელასა, და თუ მკჳდარი არის, იგი სათვალავიდგანაც არ მოგიტევებს იმ გულ გრილობასა და უზრუნველობასა, რომელსაც გინდა მიჰსცე შენი თავი ჩემის თხოვნით.—მეც მადევს მაგგვარივე ვალდებულება: ნუ თუ ეხლა მე აღტაცებით არ მოველი იმ წამსა, რომელიც მიახლოვებს ნახვას ჩემის მშობლებისასა? იქნება იმათ ნახვამ მე სამუდამოდ ბედი მაწყევლინოს, მაგრამ იმითის გულისათჳს უნდა ყოველი ჭირი მოთმინებით ავიტანო. შენ წარმომიდგინე შიში მეფის უცოლობაში, რომლისათჳსაც მითომ, შენის ფიქრით, მე მამზადებენ. ეგ შეუძლებელია: იგი სიყმაწჳლით რათ მოამზადებინებს საყვარლებსა,როდესაც გაზდილებსაც ბევრს იშოვნის, და თუ რომ სხჳა ავისული გინმე ჩაიდებდა მაგ გჳარს ჰაზრსა გუნებაში თავის სასარგებლოდ. მერწმუნე, რომ იგი არ აღზდევინებდა თავის მსხჳერპლსა დედათ მონასტერში იმ ღჳთის შიში, და საღმრთო ჰსწავლაში, რომელშიაც მე აღმზარდეს. და იმისთანა აღზრდილს არ ეყოლებოდა მზრუნჳელად იმერეთის მმართებელი თავისის მეუღლით.

—კმარა,თამარ.მესმის რომ უარის თქმა ჩემის ცოლობისგამო გინდა გაატკბილო შენის ენის შაქრით; მესმის შენი ლაპარაკის ჰაზრი, და იმისი ბოლო. თუ რომ შენს გულსაც ეგრძნო რაოდენიმე სიტკბო იმ ცეცხლისა, რო-

მელიც მე ესრედ მეყსეულად აღმეგზნო, მაშინ შენ ეგრე დაწვრილებით ვეღარ შეხვდოდი. ჩჳჱნის მოქმედების განჰსჯაში.—სიყჳარული ბრმა და უგუნური ყოფილა, მაშინ ჩემსავით გულმხურვალებით წარმოჰსთქჳამდი ორი-ოდ სიტყჳასა, დავკითხებოდი მარტო გულსა და არა გონებას, და ყოველს ერთს წამს გარდაჰსწყვეტდი... მაგრამ, მე შენ არ გემდურები ..ჩჳჱნი ჩამომავლობის ბედი ეგრეთი ყოფილა. მამა ჩემს შეუწირამს თავი სიყჳარულისათჳს, და მეორე იმის მსხჳჱრპლიც მე ვიქნები..,მშვიდობით!—

შალვა ელდასავით წამოხტა ფეხზედ. მას სული ყელში მოებჯინა; თჳალები აემსო ცრემლით; იგი გიჟივით დაემგერა კარებსა—და თავი შეჰკრა; იგი დაბარბაცდა და მიეყუდა კედელს.

—ვუჲ ჩემს სიცოცხლესა! დაიყჳრა თამარმა, რა შეიტყო შალვას თავის რაგჳანი; დალოცჳლო, რა ელდასავით წამოხტი; უკან ხომ არავინ მოგდევდა.

—ვიცი, რომ უკან არ გამომყჳჱბოდი, უთხრა შალვამ აღმოხვრით: მეც იმიტომ მივეჩქარებოდი, რომ განმეთავისუფლებინე.

—აბა, მაჩჳჱნე თავი, განაგრძელა თამარმა: ძალიან ხომ არ მიახვედრე. მან მოუსო თმაზედ კელი და ჰგრძნო კელ ქჳჱშ დიდად ამომჯდარი კოპი.—ვუჲ ჩემს სიცოცხლეს! რამოდნად ამომჯდარა.—დანგი (*) გააცხელე და დაიკარ.

(*) დანგი შავი ფულის მაურიანი.

—გმადლობ რჩევისათჳს, უთხრა შალვამ ცივად. ნეტა-ტვინი შემესხა და ეს სასიკჳდილო გულში წყლულიკი არ გამეტანა აქედგან!... გამიშვი კარგი, ვიცი რომ გებრალები. ეგ წამალი სხჳსთჳს ჩემზედ ბედნიერისათჳს შეინახე .. მშჳდობით .. ღმერთმან ინებოს, რომ შენს ღირსეულს ბედს მიახწიო... იქნება ერთხელ მაინც მომიგონო, როდესაც ჩემს სიკჳდილს გაიგებ. . მას კიდევ ცრემლები მოერია თვალებში.—

—ჯერ ადრია, რა მიგაჩქარებს, უთხრა თამარმა, რა დაუჭირა შალვას ჴელი და მიიყვანა ფანჯარასთან. ჯერ მტრედის ფრად არ იყურება ცა. განა ეგრე გაბუტული უნდა გამშორდე? განა გულშიაც მამტყუვნებ, რომ არ გეთანხმები გაპარვაზედ? რათა ხარ ეგრე უსამართლო?—

—უსამართლო! მე ვარ უსამართლო? უსამართლობას მაშინ ნახამდი, თუ რომ ჩემს მაგიერად სხჳა ყმაწვილი კაცი შეგხჳედროდა ამ მარტო მდგომარეობაში, ესრეთის აღგზნებულის ცეცხლით, როგორც მე...

—მერწმუნე, უთხრა თამარმა: ეგ აღგზნებული ცეცხლი ეგრეთვე ადჳლად გამოგნელდება, ვითარცა ანაზდეულად გაგიჩნდა, ანუ დაბადა შენმა გამოხატულებამ, და რამდენსამე დღემ ასე დაგავიწყოს ამ ღამის მოგონებანი, რომ ჩემი სახელიც აღარ გაგონდებოდეს. მაგრამ მე...

შალვა სმენად გარდიქცა; მაგრამ თამარმა აღარ დაასრულა სიტყჳა.

—შენ რა?—შენი მეხსიერებაკი დიდხანს შეინახამს ჩემს სახელსა?—იქნება ჸსწორეთაც ამბობდე, თამარ, რომ მხოლოდ რამდენსამე დღეს იქნება დაკრული შენი

სახე და სახელი ჩემს გულზედ; ეს გული ხან გრძლივ ვერ აიტანს ამ ცეცხლის ტარებას; ეს გაანადგურებს მას, ეს მოჰსპობს მსწრაფლად მის ზგერასა.—

—იცი რას მაგონებს ეგ შენი ცეცხლში გავლებულნი სიტყჳჱბი? ჰსთქუა თამარმა მცირედის ღიმილით: თუმცა შესაფერი არ არის ჩემგან გაგრძელება ამ გუარის ლაპარაკისა ყმაწჳლ კაცთანა, მაგრამ რადგანაც სიტყჳამ სიტყჳა მოიტანა, და ჩჳჱნც ვგონებ აღარ გვექმნება შემთხჳჱვა ერთმანეთის ნახვისა, ამისათჳს რამდენსამე მომატებულს სიტყჳას ვიცი ურიგობაში არ ჩამომართმევ. დედათ მონასტერში რომ გახლდი, თან მახლდა მოჩენილი ჩემივე ტოლი ქალი, რომელიც მეტად უხვად დაესაჩუქრებინა ბუნებასა მხიარულებით და სამიჯნურო წიგნების კითხვის სურვილითა.—იქ ვინ რას მოგვცემდა, მაგრამ მას ჰყჳანდა ერთი ძმობილი, რომელიც ჩუმათ უზიდამდა ხოლმე მას ამ გუარ წიგნებსა. დაწოლის ჟამს, ღამე, ჩემი მხიარული სოფიო მომითხრობდა ხოლმე წაკითხულს ამბავსა, სადაც ყოველთჳს ქალი და კაცი უნდა ტანჯულ იყვნენ სიყჳარულითა; ჯერ კაცს უნდა გამოევლო რამდენიმე განსაცდელი, გამოეხსნა ქალი საპყრობილიდგან და შემდეგ ბოლოვდებოდა ამით, რომ ცოლქმარნი შეიქმნებოდნენ.—ამ მოთხრობებსა ჩემს გარდა ჰყჳანდა სხჳა მსმენელიცა, ანუ უმჯობესად ვჰსთქჳა, მოწამე, მოხუცებული ადამიანი, რომელსაც ცხვირიდგან სათვალები და კელებიდგან დავითნი მაშინ განშორდებოდნენ, როდესაც იგი ხვრინვას ამოუშჳჱბდა ხოლმე. თუმცა ეს მოხუცებული ყურთ მძიმე იყო და მეათედიც

არა ესმოდარა სოფიოს მოთხრობისა, რომელიც დაჰს-
ცინოდა და თავის მოთხრობაში უმაწჳლ კაცისა და ქა-
ლის მაგიერად ბერსა და მონოზანს ჩააყენებდა ხოლმე,
მაგრამ, მაინც რაკი სიყვარულზედ გაიგონებდა რასმეს,
მაშინ ეს მოხუცებული აღმოხვრით გვეტყოდა: «შჳლებო
სიყჳარული მხოლოდ ძველად ყოფილა, როგორც წიგნე-
ბში ჰსწერია, და ეხლანდელი ქალი უბედური იქნება,
რომელიც უმაწჳლის კაცის თუგინდ ერთს სიტყჳას ამ
საგანზედ ყურში შეუშვებს და გულში დაინერგებსო. კაც-
ნი მზათ არიან ღმერთიც მისცენ თავდებათაო, ცა და
ქჳჱყანაც ფიცით მირს ჩამოიღონო, მაგრამ იმათი გა-
ხურებული სიყჳარული ექჳს თთჳჱსაც ძლივს გაჰსწევს
ხოლმეო: რაკი კაცნი მიეხწევიან თავიანთ გულის წადილ-
სა, მაშინ იგინი მზათ არიან შეჰსცჳალონ თავიანთი სა-
ყჳარელი ერთს მახინჯს მეახლეზედაო.—ამისათჳს ყური
შორს და გული გრილად გეჭიროსთ უმაწჳლის კაცების
ლაპარაკთანაო.»—

—ეტყობა, იმ წმინდა მოხუცებულს თავის საკუთრის
გამოცდილებით უძლევია თქჳჱნთჳს ეგ ოქროს დარიგა-
ბა, უთხრა შალვამ: მე სიტყჳჱბით არ გავტენ შენს ყუ-
რებსა. ლექსებით მეოცედსაც ვერ გამოვჰსთქჳამ იმას,
რასაცა ჰგრძნობს ჩემი გული.—მომეცი იმედი, მომეცი
ვადა და დამინიშნე ყოველი, რაც უძნელესი იყოს განსა-
ცდელი- დაგარწმუნებ მაშინ რომ შალვას პირს არცარა
მიჰკარებია ოდესმე ტყუილი ფიცი და არცარა მიეკარება,
რომ შალვას ათის, ოცის ორმოცისწლის შემდეგაც ისე გაგი-
ჟებით ეყვარები, როგორც დღევანდელს დღესა, ერთის სი-

ჭკჳთ შალვა თავის ფრჩხილით დაიჩიჩქნის თვალებსა, თუ რომ იგინი შემოგხედამენ ოდესმე უსიამოვნებით, და გულს ამოირთმევს ხანჯლით, თუ რომ მას მცირედაც არის გამოჩნელდება სიყჳარულის ალი შენდამი!—

—კარგი, მჯერა, უთხრა ღიმილით ქალმა, რომელსაც სიხარული თვალებში გამობყურტამდა, რა ესმოდა შალვასაგან რწმუნება აღგზნებულს სიყვარულში მისდამი- ახლა ამოიტანე მტკჳრიდგან ყინული და დავჰსწეროთ მას ზედ ჩჳენი პირობანი.

—მე ვხედამ, უთხრა შალვამ ამოხჳრით და დაღონებით, რომ შენი გული ყინულზედ თბილი არ არის, და როგორც ყინული, ჩემის სიყჳარულისაგან იგი ვერ გათბება.

—არ გათბება, მაგრამ იმისავით დადნება.

—ვისგან?

—ეგ ჩემი საიდუმლოა, უთხრა ქალმა; მე როდი გკითხამ, აქამდინ შენ ვისთჳს გიცემდა გული.

—აა! დავიგვიანე! წარმოსთქო მწუხარების ხმით შალვამ: უკჳე სხჳს სიყჳარულს შემოუტანებია მონასტრის განიერს კედლებში და დაუტყვევებია შენი უმანკო გული?... მშურს იმისი ბედი; იმან დაიკჳეხოს სიცოცხლე ამ ქჳეყნიერებისა!

—მე ჩემს გულში არავისთჳს ჩამიხედჳნებიას! უთხრა თამარმა წყენის ხმით: შენც ეგრე ადჳლად ნუ ჰსჯი სიყვარულზედ. ჯერ ისევ ყმაწჳლი კაცი ხარ, რომელსაც არა უნახამსრა სოფელში ფრინველებისა, ნადირებისა და მზისაგან შემწვარის ქალების გარდა. ახლა შენ მიბძან-

დები ქალაქში. იქაც გამოჭნცადე შენი თუალი და გული, და თუ რომ ერთის წლის შემდეგ, ისევ მაგ აღგზნებულის თვალებით და სხუსაგან დაუკოდელის გულით მოხუალ და მეტყვი იმას, რასაც ეხლა მეუბნები, მაშინ....

—მაშინ რა? დაასრულე!... შეჰყვრა სიხარულით შალვამ.

—მაშინ ვნახამ და თუ თავისუფალი ვიქნები...

შალვა მივარდა აღტაცებით თამარსა, რომლის კელების აფარებამ ვერ შეიმაგრა იგი, და დანაშთენი სიტყუნი მოჰგლიჯა მან მშუენიერის ბაგიდგან ქალსა და აღგზნებულს კოცნას ჩაატანა.—

—ოო, შენ დამიბრუნე სიხარული და სიცოცხლე, რომელთაცა, უკუჱ სამუდამოდ გესალმებოდი! შეჰყვრა შალვამ.

—მე ჯერ სრულს სიტყუას არ გაძლევ თქუენა, უთხრა ქალმა: მე მხოლოდ მოგახსენებ, რომ იქნება გავბედო სიტყვის მოცემა ცოლ ქმრობაზედ, თუ რომ წლის თავამდის დაბრკოლება არა მოგვეცემარა.

—ნუ მიყოფ შუაზედ სიცოცხლესა! უთხრა მუდარებით შალვამ: რაღა საჭიროა წლოვნების გაყუანა; რათ ველოდეთ დაბრკოლებასა, ჩუენ დავასწროთ ორივეს. აგერ ხუთიოდე ვერსზედ ეკლესია გვიწოდებს: ეხლავ გავფრინდეთ და გარდავიწეროთ ჯუარი. მანამ ჩუენი მგზავრები გამოიღუძებენ, ჩუენ კიდეც დავბრუნდებით. იმათ არა ეცოდინებათრა... თუ რომ სხუა ფრივ მორიდება გაქუს რამე, გაძლევ იმას თავდებად, ვის წინაშეც ჩუენ წარმოჰჯსთქუამთ ფიცსა ერთმანეთის ერთგულებისასა,

რომ მე და შენ—და და ძმანი ვართ, ვიდრე სასულიერო წესი არ გამოაცხადებს ჩუენს კავშირსა კანონიერად.

თამარმა ტკბილის შეხედულობით დაუმადლა შალვას ამ კეთილს შობილურს განზრახულებაზედ, მაგრამ დაუმატა:

ეგ რასაკურველია ეგრე იქმნება, მაგრამ მარტო ეგ საკმაო არ არის: ნუ თუ ამ დროს ღუდელს ადჳლად დაჰს-ძრამ ლოგინიდგან და არ გაოცდება იგი ჩემს საგჳრგჳნო ტანისამოსზედა.... იგი გიჟებად შეგვრიცხამს, გაგვიკვრევინებს თოკით მკლავებსა და ქალაქში ჩამოგვგზავნის. რა უცხო დედოფალი ვიქნები ამ ყაბალახში და ამ ვაჟურ ტანისამოსში?...

—ჩემო საყვარელო თამარ! ფულის ჩხარუნს ასეთი ანდამატის მიზიდვის ძალა აქუს, რომ, ვიდრე თვალით გვნახამს, მღვდელი ლოგინშივე იგრძნობს ჩუენს მიახლოვებასა და თავის ცოლის სააღდგომო ტანისამოსის სკივრს წინ მოგვაგებებს.—თქუენ დამეთინხმენით გამომყევეთ, თორემ დანაშთენი მეტად ადჳლია.—

ქალი ირყეოდა გაუბედაობით.

—ძჳრფას დროებას ნუღარა ვჰკარგავთ, უთხრა შალვამ: აგერ ცამ უკვე მტრედის ფერი მიიღო. ფიქრით და დგომით საქმე არ გაგვირიგდება. მან დაუჭირა მთრთოლვარე ჴელი თამარსა და ეწეოდა კარებისაკენ.—ქალი თითქოს აღარ ეკუთვნიდა თავის თავსა, ისე მოიცო იგი ფიქრმა, და უნებურად ემორჩილებოდა შალვას ყოველში, რასაც იგი ეუბნებოდა.—მაგრამ როცა შალვამ კარებს დაუწყო გაღება, თამარმა შეაყენა იგი.

არა! უთხრა ქალმა: ჩემი გამოყოლა არ შეიძლება, აი ჩემი ბეჭედი. (მან წაიძრო თითიდგამ უცხო ფირუზის ბეჭედი და მიჰსცა შალჳას) წადი საჩქაროდ მცხეთას, ცის კარზედ მიუსწრობ; იქ მღჳდელს აკურთხებინე ესა და შენი ბეჭედი და ნაკურთხი დამიბრუნე. გაძლევ სვე-ტი ცხოველს თავდებად, რომ მე შენის მეტი ქმარი არ მინდა, თუ გინდა მეფე მთხოულობდეს! დასარწმუნებლად, რომ ეს ჩჳენი, მხოლოდ ღჱთის წინ, ნიშნობა ხუმრო-ბა და ყმაწვილობა არ არის, მე მინდა აღვასრულო რაც ნიშნობის წესია.—ამ სიტყჳებთან მან მიუშჳრა ლოყა შალვისა, რომელიც დაათვრინდა როგორც მშიერი კაცი პირჳელს ლუკმასა.—შემდეგ სიხარულისაგან გაგიჟებუ-ლი შალვა ჩამოიჭრა კოშკის კიბიდგან, თავის ივანეს გამოართო შეკმაზული ცხენი და გაჰქუსლა მცხეთისაკენ.

(დაბოლოება იქნება შემდეგ წიგნში.)

---

# ფუტურო.

როს სასეიროთ გავდივარ ველათ
ზაფხულში, ბნელი შუა ღამის დროს,
ხშირათ შორიდგან ვსჭვრეტ მნათობელათ
ვით მართალ მნათობს მაშინ ფუტუროს,
მაგრამ თუ ახლოს მიველი, ვნახე.
მაშინკი სწორეთ გული მიკჳდება:
ხელში მირჩება მე დამპალი ხე
და ეს მაშინვე მომაგონდება:
არიან ჩჳჱნში დღეს სწავლულები,
შორიდგან თუმცა ბევრს გვინათებენ,
მაგრამ ახლოსკი დალოცვილები
ფუტუროსავით ველარ გვარგებენ.

თ. აკ. წერეთელი.

# ლექსები.

## ჩემთა მეგობართა.

(თ. ნიკოლოზ ბარათოვის ლექსებიდგან.)

ჭაბუკნო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა გითენებსთ·
და სიყვარულიც გულის ჭირთა გასიამოვნებსთ,
არ დაიჩინოთ შავის ბედით მსწრაფლნი ლახვარნი,
და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლნი მწარენი.
აჰყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა,
ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა ძალსა!
სასაცილოა ბერიკაცი რო ყმაწვილობდეს
და საბრალოა რო ჭაბუკი ბერიკაცობდეს.
მას ვაქებ გინდა თვს სიცოცხლე ასე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!
მაშინცა კმარა შეკავება გულისა თქმათა,
კისრად ტჳრთება წუთის სოფლის მძიმეთ ზრუნვათა—
ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ დილას მის წელს,
და ცრუ სოფელი სიყვარულსაც შეჰყრის სარგებელს,
მხოლოდ ერთს გირჩევთ და გახსოვდესთ ესე თათბირი,
მერწმუნეთ, ძმანო, ნაცადი მაქვს ეს გულის ჭირი:
არ შეემსჭვალოთ მოკისკისეს კეკელას ქალსა,
სულის დამტყვევნელს და გრძნობათა ცუდ-მომღერალსა,
აშიკის ენა მას ახარებს, მას ასულ-დგმურებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს.

**1841** წელს.

# მოწმობა წმინდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა.

(დანგრძელება.)

ესე ყოველნივე განზრახულნი შააბაზისნი სცნა ჭეშმარიტებით მესაიდუმლეთაგან შააბაზისთა მეფემან თეიმურაზ, და კახეთის წარჩინებულთა და თავადთა თანა განმზრახთა მეფისათა, რომელნიცა შემდგომად ინანდეს მრავალსა, რომელ არა ისმინეს პირველად განზრახჳანი მეფისანი: მაშინ არღარა მიენდო შააბაზს მეფე, არამედ შეითქჳნეს მეფე ქართლისა (1) ლუარსაბ მეორე, და

(1) ლუარსაბ მეფე ჯერეთ არ შეეპყრა შააბაზს, მას ჟამსა, არამედ ოდეს გარდავიდეს იმერეთს სახიზრად მეფენი, მაშინ შააბაზმან მრავლისა ღონისძიებითა, მოაცთუნა ლუარსაბ მეფე, მიიყვანა თჳს თანა, წარიყვანა იგი სპარსეთად, და მუნ აწამა.—

მეფე თეიმურაზ, რათა სრულიად ქართლისა და კახეთისა მხედრობითა ბრძოლა უყო შააბაზს, და არა აუფლიან იგი თჳს ზედა: არამედ ვიეთთამე თჳსთა სამეფოთაგანთა მამულისა ორგულთა და შინა განმცემელთა მიზეზითა დაუტევეს ბრძოლა, და გარდიხიზნენ იგინი სახლეულე-ბითურთ მათით იმერეთს.

იხილა რა შააბაზ რომელ ვერა აცდუნა მეფე, და ვერ შეუძლო კელთ გდება მეფისა თეიმურაზისა (1) მაშინ პატიმრად წარავლინა შირაზს დედოფალი ქეთევან (დედა თეიმურაზისა), და ძის ძენი მისნი, მეფის ძენი ლეონ და ალექსანდრე: (2) შემდგომად ამისსა წაჰგჳარა იგინი დედოფალსა, და საჭურისნა, რომელთაგანცა მეფის ძეჲ ალექსანდრე მეყსვე მოვიდა. ხოლო მეფის ძე ლეონ, რომელიცა იყო პირმშოჲ ძეჲ მეფისა თეიმურაზისა, საჭურის ქმნილი, ეგო ფრიად მოხუცებულებამდე.

იხილე გულის ხმის ყოფით, წარმკითხჳელო თუ ვი-თარნი გულის ტკივილნი აქჳნდეს დედოფალსა ქეთევანს ძის ძეთა-თჳს მისთა, რამეთუ არცაღა სხჳანიღა ძენი ეს-ხნეს მაშინ მეფესა თეიმურაზს, არამედ უხუცესნი ძენი მისნი იყვნენ ლეონ და ალექსანდრე. მხოლოდ ჩჩჳლი ჭყჳა მას მცირეჲ ერთი დავით: კვალად დედოფალი

---

(1) გასტუმრების ჟამს, დედოფალს გამოუცხადა შააბა-ზმა ისპანს მიბძანდითო, იქ მომიცადეთო. მაგრამ შირა-ზს გაგზავნა.

(2) მეფის ძენი ლეონ და ალექსანდრე საჭურის ჰყვეს წელსა ქრისტესით **1618**.

მტკივნეული გულითა ძისა-თჳს თჳსისა და სამეფოსა თჳსისა ეგე ოდესთა ბოროტ შემთხჳეულებისათჳს, რაოდენიცა მჳრნი შეემთხჳნეს შააბაზის მიერ კახეთსა გინა ქართლსა, იგლოვდა მწარედ.

ოდეს შააბაზმან ბოროტ შემთხჳეულებაჲ ესე უქმნა ძეთა მეფისა თეიმურაზისათა, (1) მაშინ დედოფალსა ქეთევანს მაჰმადის სარწმუნოებაზე მიქცევა შეუკჳეთა: დედოფალმა იმისი ბძანება არა თავს იდვა, და არა დამორჩილდა, და ქრისტეს სარწმუნოება არა უარ ჰყო: ამაზე შააბაზ განრისხდა, და იმ ჟამის შირაზის მბრძანებელსა და მმართებელს ჩანდარ-ხანს იმან-ყული-ხანს ბრძანება მისწერა. «დედოფალი ქეთევან ანუ ჩჳენს სარწმუნოებაზე მოაქციე, და ანუ სატანჯჳელით მოჰკალო.» შეწუხდა დიდად იმან-ყული-ხან, უსჯულოსა ამისთჳს ბძანებისა. და ესე ბძანება, რაოდენ იშიშვოდა შააბაზის სასტიკებისაგან, ეგრეთცა არა გამოუცხადა დედოფალსა, ვიდრემდის არა განვლო ამას შინა თვემან სამან: შემდგომად ველარა თავს იდვა უმეტეს დაფარვად ბძანებისა,

(1) ლათინთა მეისტორიენი რომელთაც აღწერნეს წამება წმიდისა მის იტალიანურად, მღჳდელნი იგი კათოლიკეთანი სწერენ, რომელ შააბაზმანო აწჳაო დედოფალს ცოლად თჳსად მიყვანება, და ყოფად სპარსეთისა დედოფლად და ამისთჳს აწვევდაო მისვლასა სჯულსა ზედა მაჰმადისასა, წმიდასა მას, ხოლო მღჳდელნი იგი რომისა კატოლიკეთანი იყვნენ მუნ შირაზს ოდეს ეწამა ქრისტესათჳს წმიდა დედოფალი ქეთევან.

მის საშინელისა შააბაზის რისხჳსაგან: მოვიდა დედოფალისა თანა, და ყოველი ბძანებული შააბაზისა გამოუცხადა, და ევედრებოდა, რათა აღასრულოს ბძანებული შააბაზისა, და არა რაჲ ძჳრ შეამთხჳოს თავსა თჳსსა, ვინადგან ფრიად ურყეულ არს გული ჩემი, რამეთუ ღირსება დიდებულისა მაღალ არს: და არა ჯერ არს შეხებად გელისა სასჯელად და ძჳრის ყოფად შენდა დიდებულისა და სახელოვანისა მეფისა თეიმურაზის დედისა.»

ამას ყოველსა ცრემლითა ეტყოდა დედოფალსა იმანყულიხან, მთავარი იგი შირაზის: მიუგო დედოფალმან, და რქუა მას « ფრიად მადრიელ ვარ და მაქებელ კაცობრიობითსა ლმობასა მაგას შენსა ზედა გულ მტკივნეულებასა ჩემთჳს, მაგრამ შეუძლებელ არს ჩემ მიერ უარის ყოფაჲ ქრისტე მეუფისა ჩემისა, და არა შესაბამ არს ჩემდა შერაცხებად მამულისა სჯულისა, არა რომლისა დიდებისათჳს საწუთოსა მის: მე არა მიმიღიეს ამისთჳს სახე დედოფლობისა ჩემზედა რათა წინააღმდეგ სარწმუნოებისა, და დამარღვეველად სჯულისა, მაგაფით ეგმნა ქრისტიანეთა და ძეთა საყვარელისა მამულისა ჩემისათა, მე შემიწირავს თავი ჩემი ქრისტესთჳს, და მამულისათჳს სჯულისა. რაჲც სასჯელი ნებავს შააბაზს ჩემთჳს აღასრულეთ. აჰა მზა ვარ წინაშე თქუენსა, ყოვლითურთ უშიშარითა გულითა, შეწევნითა უფლისა ჩემისა, იესო ქრისტესითა.

ხოლო ვითარცა დაშურა იგი მრავლისა ვედრებითა, და არა ისმინა მისი დედოფალმან, და არცაღათუ მცირედ გადრკა სარწმუნოებისაგან ჭეშმარიტისა, მაშინ, ვითარცა

აქჳნდა ბრძანებული შააბაზის მიერ უბძანა მტარჳალთა ტანჯჳად დედოფლისა სასტიკითა სატანჯჳელებითა: მოიღეს მტარჳალთა მრავალნი და ფერად ფერადნი საჭურველნი სატანჯჳელთანი, და განმზადეს ასპარეზი რომელსა ზედაცა ეგულვებოდათ ტანჯჳაჲ მისი.

ითხოვა მათგან დედოფალმან დაცადება მცირედ. და შევიდა შინაგან სახლსა სალოცჳელსა, რომელიცა აქჳნდა განმზადებული თჳსად, და ილოცა უფლისა მიმართ ღჳთისა, ცრემლითა მხურჳალითა და ლმობიერითა, და ეზიარა ჴორცსა და სისხლსა მხსნელისა და მაცხოვრისა ღჳთისა ჩჳენისასა უხრწნელსა მას საიდუმლოსა, და იტყოდა:

«მეუფეო საუკუნეთაო, ქრისტე სიტყჳაო ღჳთისაო, არა შჳენოდა მხევალსა შენსა უარის ყოფა შენი, ნუ მიმცემ ეშმაკსა, მსახურებელსა შენსა, გულითა ჭეშმარიტითა.

და ესე რა სთქჳა, გამოიწერა თჳს ზედა სახე პატიოსნისა ჯჳარისა და აღსდგა მხნე იგი, ყოვლითურთ უშიშარისა გულითა, და გამოვიდა ადგილსა მას, სადა იგი განემზადათ მტარვალთა საჭურჳელნი იგი სატანჯჳელთანი: ეტყოდა წმინდა იგი თჳსთა მათ განუშორებელად მის თანა მყოფთა, ზოგად დიდთა და მცირეთა, რომელნიცა მოცულ იყჳნეს გამოუთქმელითა, გოდებდეს მწარედ ტირილითა და ტყებითა, და რქჳა მათ:

«ნუ მწუხარე ხართ, შჳლნო, დანო, დედანო და ძმანო ჩემნო ჩემთჳს, რამეთუ მე ნებსით შევსწირავ თავსა ჩემსა ქრისტესა და მსხჳერპლად სასურჳელისა ჩემისა ვიქნები მე: ღჳაწლსა ამას შინა უმეტეს ვხადი თავსა ჩემსა ბედ-

ნიკრადა ვიდრელა დედოფლობითსა სუფევასა შინა ჩემსა. ნუ შეძრწუნდებით, საყვარელნო შვილნო ჩემნო, ოდეს იხილოთ უსასტიკესნი სატანჯუელნი ჴორცთა ამათ ჩემთა ზედა უძლურთა, არამედ ევედრენით ღმერთსა ჩემთჳს რათა განმაძლიეროს მე ღუაწლსა ამას შინა: ნუ მოშიშარ იქმნებით, არამედ მხნედ და მტკიცედ სდეგით სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა: აჰა კარი განღებული საუკუნოჲსა დიდებისა, საუკუნო ესე წარმავალ არს და საცთურ თვალთა წინაშე კაცთასა: აჰა ჟამი ვისაც გნებავსთ ჩემი თანა წამოყოლა დაუსრულებელისა მიმართ სუფევისა.»

ამას რა ეტყოდა წმინდა იგი თჳსთა მათ, მაშინ მოვიდეს სხუანიცა მტარუალნი უმრავლესნი ჭირუელთასა, და შეიპყრნეს დედოფლისანი იგინი რომელნიცა იტყებდეს მგლოვარებითა დიდითა, რომელთა მიმართ ზრახჳდა დედოფალი, და რომელნიმე მათგანნი შეიპყრნეს, და აიძულებდეს სატანჯუელებითა დატევებასა სჯულისასა და მიქცევასა სჯულსა ზედა მათსა, და რომელნიმე განსდევნნეს გვემითა და შეურაცხებითა:

მაშინ დედოფალი მოვიდა თჳთ ნებითა თჳსითა, და სჯდა საშუალს ადგილსა მის ასპარეზისასა, სადა იგი განმზადებულ იყვნეს სასტიკნი იგი სატანჯუელნი, და ეტყოდა მტარვალთა: «აჰა მზა ვარ, მოვედით, და ჰყავით რაჲცა იგი ბრძანებულ არს თქუენდა.» მოიღეს მტარვალთა შუშა ზჳნად-ზჳნად, და აღაგზნეს ცეცხლი წინაშე დედოფლისა, და შთაყარნეს მას შინა ლურსმანი რკინისანი მრავალნი განხურებად, და სხუანი საჭურუე-

ლნი სატანჯჳჱლითა: მაშინ განძარცვიდეს სამოსელსა, და განაშიშჳლებდეს წმიდასა და უბიწოსა გვამსა მისსა. ხოლო ეტყოდა დედოფალი მტარჳალთა მათ, რომელნიცა განსძარცვიდეს მას სამოსელთა » დაუტევნეთ, რომელი კაცნო კჳართი მხოლოდ ოდენ ჩემი გვამსა ჩემსაზედა, და ნუ მყოფთ სრულიად შიშველ, ვინაჲდგან თქჳენცა ნაშობნი ხართ დედათანი, და არა ჯერ არს მამაკაცთა მიერ ჭჳრეტა შიშველთა დედათა.

მაშინ მოიღეს ნაკვერცხალნი ცეცხლისანი, და თანა აღრეულნი ლურსმანნი განხურჳჱბულნი, მოტყინარენი განუშალნეს ქვეშე მისსა, და მას ზედა განართხეს იგი რომლისაგანცა შეიწოდეს ჴორცნი მისნი. ხოლო იგი ყოვლითურთ ახოვანითა გონებითა არა შეძრწუნდებოდა არცა ერთისა მის სატანჯჳჱლისაგან, არამედ მტკიცითა სასოებითა და სარწმუნოებითა გარე შეზღუდვილი ილოცვიდა ღჳთისა მიმართ დაუცადებელად.

მაშინ მოიღეს განხურვებულნი ვითარცა ცეცხლი მანფურნი რკინისანი, და განუყარნეს მკერდსა მისსა, და განხურვებულითა გაზებითა რკინისათა მოახლეჩდეს ძუძუთა მისთა, და ლურსმანთა მიერ ცეცხლებ განხურჳჱბულთა სწერტდეს ჴორცთა მისთა. და რკინისა ჯაჭჳ განხურვებული შეარტყეს წელსა მისსა: შემდგომად რვალისა განხურვებულნი საჯნი (1) დასდვეს დაწჳთა ზედა

(1) საჯი იგი არს, რომელსა ზედაცა გამოაცხობენ პურთა რვალისაგან, ქ. ი. სპილენძისაგან ქმნილი, სინისა ანუ ლანგრის სახედ გულ შედრეკილი.

მისთა: მერმე მოიღეს ბარი რკინისა (ბოსტანთა და მტილთა საბარველი), და განხურვებული ვითარცა ნაკჳერცხალი ალითა სავსე დასდვეს წმინდასა გულსა მისსა ზედა. ხოლო უკანასკნელ ყოველთა მათ სატანჯჳელთა, მოიღეს ქჳაბი რვალისა განხურვებული ვითარცა ცეცხლი და გჳრგჳნად ჰატიოსნსა მას წმინდისასა დაბურეს თავსა და ყოველთა მას შინა სატანჯჳელსა ილოცჳდა ღჳთისა მიმართ, და ევედრებოდა დაცჳსათჳს ქჳეყანისა თჳსისა ერისაგან მძლავრთასა, და ერისათჳს მოსავთა ქრისტესთა, და საყჳარელისათჳს მისა თჳსისა მეფისა თეიმურაზისა სახლისა და შთამომავლობისა მისისათჳს, და ესრედ მიიღო გჳრგჳნი წამებისა, და შევედრა სული თჳსი უფალსა, და სიმხნე უაღრეს ბუნებასა უძლურსა დედათასა აჩჳენა, და იქმნა მოწამე ქრისტესი, და დიდებასა შინა მისსა საუკუნესა აღვიდა: ხოლო ეწამა ღჳდელიცა გასილი წმინდასა მას თანავე, ქართჳელი, რომელიცა სამარადისოდ განუშორებელად იყოფებოდა წმიდასა მას თანა დედოფალსა, და იქმნა იგიცა მოწამე ქრისტესი.

ძრწოდა ყოველი იგი ერი ქალაქისა მის მტირენი და დიდნი საშინელსა მას ზედა სახილველსა, და მწუხარე იყჳნეს, და სცრემლეოდეს დიდად ურჩჳულნი: ყოველნივე რომელნიცა მის ჟამისა, ანუ შემდგომნი არიან აღმწერელნი წამებისა ამის წმინდისანი (1) ერთბამად

(1) სწერენ წამებასა ამის წმინდისასა იტალიანურსა ენასა ზედა თანა მედროვენი მისნი სამღჳდელონი რო-

მოუთხრობენ ვითარმედ (1) ოდეს აღესრულა ღუაწლითა წამებისათა წმინდაჲ დედოფალი ქეთევან, და გააგდეს გვამი მისი ფოლორცსა მის ქალაქისასა, მასვე ღამესა იხილეს ყოველმან ერმან მის ქალაქისამან, და მცხოვრებთა მას შინა, ნათელი ზეცით გარდამოსრული და დადგომილი გვამსა ზედა მის წმინდისასა, ვითარცა სვეტი ცეცხლისა, და შეძრწუნდეს ფრიად: და ესმა რა ესე, და იხილა თვალითა თჳსითა სასწაული ესე მთავარმან მის ქალაქისა შირაზისამან, დაადგინნა მას ზედა მცუელნი,

---

მისა ეკკლესიისა კათოლიკეთანი, რომელთაცა იხილეს თვალითა თჳსითა წამება წმინდისა მის, და რომელთაცა, მრავლითა ღუაწლითა, მოიპოვეს გვამი მისი. სომხურსა (ე. ი. ერმანთა) ენათა ზედა სწერს არაქილ სომეხთა მეისტორიე, რომელიცა თჳთ წმინდისა მის წამებისა ჟამსა იყოფოდა მუნ ქალაქსა შინა შირაზს. ქართულსა ენასა ზედა სწერს შაირ-სიტყუაობით მეფე თეიმურაზ პირუელი ძე წმინდისა მის. არჩილ მეფე, ძე შანავაზისა, თჳს-გან ქმნილსა შაირ-სიტყუაობით მეფის თეიმურაზ პირუელისა ისტორიასა შინა: კვალად სწერს წამებასა მის წმიდისასა მღუდელ მონაზონი გიორგი, დავით გარეჯის დიდის მონასტრისა ბესარიონ კათალიკოსი საქართუელოჲსა. კათოლიკოსი სრულიად საქართუელოჲსა ანტონი პირუელი, თჳსგან აღწერილისა ენა-მზეობით მარტვილიკასა შინა და სხუანი.

(2) წმინდამან დედოფალმან ქეთევან დაჰყო პყრობილებასა შინა ათი წელი.

რათა არავინ ქრისტიანეთაგან მიიღონ თავისუფლება აღე-
ბად გვამსა მის წმინდისასა. რამეთუ ესრედ აქუნდა მთა-
ვარსა მას ბრძანებული შაჰაბაზის მიერ, რათა არავის
ქრისტიანესა მისცეს გვამი მისი: ხოლო ოდეს ხმილვი-
დეს მცუელნი იგი იხილვიდეს ყოველსა ღამესა სვეტსა
ნათლისასა გარდმოსრულსა ზეცით, და დადგომილსა გვა-
მსა ზედა მის წმინდისასა, და შიშითა დიდითა, საკჳრ-
უელებისა ამისთჳს.

იხილა რა მთავარმან ესე ვითარი ერსა შორის ბძოლა-
რებაჲ; გარემოიცვა იგიცა შიშმან და ძრწოლამან, და
არცა იცოდა თუ რაჲ ქმნას. რამეთუ ეშინოდა ერისაგან
აღშფოთებისა, და უბძანა რათა აღიღონ გვამი წმინდი-
სა და დაკრძალონ ჯეროვანსა ადგილსა საფლავსა (1)
შინა, გარნა არა უწყებდნენ ძვალადცა ქრისტიანეთა
მიმართ წმინდისა. ოდეს დაფლვაჲ მის აღესრულა ქრი-

---

(1) ბესარიონ კათალიკოსი., და გიორგიცა მღუ-
დელ-მონაზონი სწერენ ვითარმედ დაფლესო წმინდა იგი
სადგურსა ჟამსა მას შინა სადაცა, სიცოცხლესა შინა
თჳსსა, სადგურებდა მუნ შინაგან სალოცველისა სახლსა
მისსა. ეკედრეს სადაც იყუნეს ორნი მხევალნი პა-
ტიოსანთა დედათაგანნი დედოფლისა მის წმინდისა. და
არა განეშორებდეს საფლავსა მისსა ჟამ რაოდე-
ნიმე, მწუხარენი და მგლოვარენი ფრიად: და ჰყოფდა
საფლავი იგი წმინდისა მრავალსა სასწაულსა: ესრედ მო-
უთხრობენ ნეტარნი იგი ზემოხსენებულნი წამებასა მას
შინა წმინდისასა.

სტიანეთა მიერ მორწმუნეთაგან.

ხოლო ჟამსა წამებისა მის წმინდისა დედოფლისასა იყვნენ ქალაქსა მას შორის შირაზისა რომელთაცა იხილნეს ღუაწლნი იგი წმინდისანი თვალითა თჳსითა მღუდელნი რომისა ეკკლესიისა კატოლიკეთანი პატრიოსანნი და ღირსნი, განსწავლულნი სიბრძნითა: სწერენ მეისტორიენი ჩუენნი (რომელნიცა აღსწერენ ვრცელად წამებასა წმინდისა მის დედოფლისასა), და სხუანიცა იყვნესო მღუდელნი კატოლიკეთანი ნიმროზელნი: ესენი უვზე ფრიად გულს-მოდგინე იქმნეს შოვნისათჳს გუამისა წმინდისა მის მოწამისა, და აღუთქუეს შაჰაბაზს მიცემა ვერცხლისა ორას ოცის ათასისა რუბლისა. ხოლო შაჰაბაზ არა ინება მიცემად იგი მათდა, არამედ მღუდელთა მათ კატოლიკეთა ფრიად მხურვალეთა ქრისტეს სიყუარულითა (1) წარიპარეს გუამი წმინდისა მის იდუმალი, და შემურეს იგი მრავლისა სურნელებითა, და წამოიღეს მუნით დაფარულად, დიდისა კრძალულებითა. ნახევარი გუამისა მისისა მოიტანეს საქართუელოსა შინა, და მიუძღუნეს მეფესა თეიმურაზს პირუელსა ძესა მის წმიდი-

(1) სწერს მეფე თეიმურაზ პირუელი, და სხუანი ყოველნი აღმწერელნი წმინდისა მის წამებისანი, ვითარმედ წამებიდგან შემდგომად ერთისა წლის განსრულებისა, ახადეს საფლავსა მისსა, და აღმოხდაო სუნი სურნელებისა საკჳრუელი, და არღარა იპოვაო გუამი მისი საფლავსა შინა და სთქუესო, ვითარმედ ფრანგნი წარიპარვიდეს მას.

სას:, რომელნიცა, დიდისა სასოებითა მხურვალისა ცრემლითა, და ფრიადის მადლობითა მიიღო იგი, და მღუდელნი იგი რომისა ეკკლესიისანი, კათოლიკენი, დიდისა მონაწილეობითა და პატივის ცემითა შეიწყნარა, და ფრიად შეიტკბო იგინი და პატივსა უყოფდა მათ.

მაშინ შეკრიბნა მეფემან თეიმურაზ ზაქარია კათოლიკოზი. მღუდელთ მთავარნი, და ყოველნი სამღუდელონი სრულიად საქართუელოჲსანი, და დიდისა დიდებითა და ლიტანიობითა მიასვენა და დასხნა წმინდანი ნაწილნი გუ:მისა დედისა თჳსისანი კახეთს; დიდსა მას ეკკლესიასა შინა წმინდისა დიდისა და ძლევა შემოსილისა გიორგისა, ალავერდს (1), ქუეშე წმინდისა შესაწირავის ქრისტეს საღმრთოჲ'ა ტრაპეზისა: ხოლო ნახევარნი იგი გუამისა წმიდისა დედოფლისა ქეთევანისა წარიღეს შირაზით მღუდელთა მათ ნ:მროზელთა ქუეყანასა შინა თჳსსა ევროპად, დიდისა სასოებითა და პატივის ცემითა მრავლითა.

ხოლო მიიღო წამებისა გჳრგჳნი წმინდამან დედოფალმან ქეთევან წელსა ქრისტესით **1621**-სა სეკტემბერსა **12**-სა, სპარსთა სატახტოსა ქალაქსა შინა შირაზს (შირაზი არს ქალაქი პერსეპოლი): სწერენ მეისტორიენი ჩუენნი, ვითარცა ეკკლესიის მომთხრობელნი,

---

(1) ალავერდისა ეკკლესიაჲ სრულიად კახეთისა სამეფოსა მწყემს მთავრისა ალავერდელისა პირუელი კათედრის მქონი ეკკლესია არის: მუნვე ალავერდს იყო პალატი მეფეთა.

ეგრეთვე საზოგადო საერონიცა მესტორიენი. თჳთ მეფე თეიმურაზ პირველი, მეფე არჩილ მესამე ძე შანავაზისა, ბესარიონ კათალიკოსი, კვალად კათალიკოსი ანტონი პირველი, მარტირივასა შინა და სხუანი. ვითარმედ ოდეს ეწამა წმიდა დედოფალი ქეთევან, მუნიდგან თუესა მეშჳდესა მიიღო სკიტრაჲ ქართლისა სამეფოისა ბატონმან მეფემან თეიმურაზ პირველმან, ძემან მის წმიდისამან. და იქმნა ორთავე მათ სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისა ზედა მეფედ. შააბაზ არა დასცხრებოდა და მიზეზცა ექმნებოდეს ორგულნი მამულისა თჳსისანი, რომელნიცა იმყოფებოდეს ადრიდგანვე შააბაზსა თანა, რათამცა ბოროტ შემთხჳულებანი სხუანი და სხუანი მოწიგნენი კახეთისა და ქართლისა სამეფოთა ზედა,

დასასრული.

## აჩირებული ფურცელი.

ახალი მწერლის აშფოთება.—რჩევა თუ ვის უნდა მიჰბაძოს.—გამოცანას ახსნა ფიქრებითურთ.—ბოდიში.—ლექსი ჭრელაძეებზედ.—გლეხივით საუბარი —ყურდღლის ანდაზა.—ქართული შემთხვევა.—გლეხის მუშური სიმღერა და მისი გამოსალმება.—

ძინგ! ძინგ! ძინგ!—რა ანბავია? გული მიძგერს! პირჳელჯერ გამოვდივარ სალიტერატურო ასპარეზზედ და ვემგზავსები იმ ახალგაზდა მონადირეებს, რომელთაც ხელათ არა აქჳსთ დიდი ნადირების ხოცა და პატარ-პატარა ნადირებს უსვრიან. მოგეხსენებათ, რომ პირჳელათ ყოველი ფერი მიბაძვით იწყება და განსაკუთრებით ამ გვარი საქმეები; მხოლოდ ერთი ცა და ქჳეყანა გაჩენილა მიუბაძავათ. მეც უნდა მივბაძო ვისმეს, და მიბაძვით დავიწყო თავში შესავალი. მეშინიაკი, საკჳრჳელი ხალხია ქართველი: პირველ სიტყვაშივე დაგიჭერს და დაგცინებს; არ ვიცი რა უნდა ვქნა? მივბაძო, მაგრამ ვის? თუ მივბაძე ძჳელ მწერლებს და დავიწყე ამ სიტყჳებით: «ძალი მომეც და შეძლება და სხჳა...» ახალი მწერლები გამირისხდებიან: «ჩჳენ ვერ მოგვაგნო რომ ძველ მწერლებს მიხტომიაო. სწორეთ სანიშნებელიც არის, იმათ უნდა მივბაძო. იმათ ისტორიით იციან სტატიის

დაწყება და მეც ისე დავიწყო?—«ვინ მოჰკლა იულიოზ კეისარი? ვინ იყო ბრუტი?» არა, ახ! არ ივარგებს: ვაითუ მეც ისე დამემართოს, ზოგიერთებს რომ დაემართა. იცით ბატონებო ზოგიერთს ჩვენს მწერლებს რა დაემართათ? ერთმანერთს უმტკიცებდენ მე ვარ ბრუტი და შენ იულიოს კეისარიო, არა მე ვარ ბრუტი და შენ იულიოს კეისარო. შექნეს ბაასი და რით გათავდა მათი ბაასი? მითი, რომ კეისრობაზედ სუყველამ ბოდიში მოითხოვეს და ბრუტობაკი დაიმტკიცეს ჩვენს ლიტერატურაში. თუნდა რა დიდიხანია აქიდგანა. სჩანს რომ ისტორიით დაწყება არ ვარგებულა. ვსინჯო ერთი და მივბაძო მეორე გვარ მწერლებს, ანდაზებით და გამოცანებით რომ იწყებენ ხოლმე სტატიებს?—მართლა ახლა გამახსენდა. ბატონებო, ის ანდაზა ჯერ ხომ არავის გამოუცვნია, ერთმა ლიტერატორმა რომ იკითხა: «რა იყო მიზეზი რომის დაქცევის და ვინ დააქცია რომიო? მე გამოვიცნობ უფ. ავტორო!

აბა ვინ არი? გამოიცანი! (მკითხავს ავტორი)

—დამაცადეთ ცოტა ვიფიქრო.

ვფიქრობ.

ვერ გამოიცან?

—ვერა, ბატონო, სწორედ მიჭირს მიხდომა!

—მაშ რაღას ტრაბახობდი?

—მომითმინეთ, ბატონებო, ეგებ გამოვიცნო, თქვენც ერთი მიბძანეთ: საჭმელია?

—არა

—სასმელია?

—არა!

—რა უნდა იყოს?

## დიდხანს ვფიქრობ.

არიქა, გამოვიცანი! გამოვიცანი! არხიმედივით ვყჳრი.

ჰო! რა გაყჳრებს? რა იყო! თუ გამოიცანი, ჰსთქჳ! ვინ იყო რომის დამქცევი?

ჩემი ზარხოშ ბახუსიჩი, ბატონო, იმან დააქცია რომი, საკჳრველი ვინმე გახლავსთ, ბატონებო, ზარხოშ ბახუსიჩი: მაშინვე ხელებს აუკანკალებს კაცს და მაგარი სასმელები რომ არ დააქცევინოს არ შეიძლება და განსხუ̂ავებით რომის მტერია! ხომ გამოვიცანი? ბარაქალა ჩემო მახჳლ გონიერებავ! მაგრამ თქუ̂ენკი უკაცრავათ, ბატონებო, მკითხველებო! მომიტევეთ, აი როგორ მეტყობა ყმაწჳლ-მონადირობა: რისთჳს გამოველი და საით გადაუხჳე?! და უკაცრავათ თქუ̂ენი ჭირიმე! რას მოგახსენებდით? ჰო, ვის მივბაძოთო? ვხედავთ, რომ არ ვარგა არც ძუ̂ელი მწერლების, არც ისტორიკოსების და არც მეანდაზეების მიბაძვა. თუ მივბაძე ზოგიერთებს და დავიწყე: «ახ, რამდენი ხანი მძინებია, ძლივს არ გამოვიღჳძე და სხ. არც ეს ივარგებს!» აბა თქუ̂ენი ჭირიმე ახალ ნამძინარევზედ რა ახალი ანბავი დაიწერება სიზმრისა და ბოდვის მეტი. რა ცეცხლში ჩავარდი! დავრჩი, დავრჩი ასე მიუბაძავათ. გულმაც მოუმატა აშფოთებას: ძინგ! ძინგ! ძინგ!... კიდევ ძინგ!,.. ძინგ! ეჰ! რაც იქნეს და იქნეს აღარავის მივბაძავ, ამ გვარ ლიტერატორთაგანს, ისევ ჩემით გამოვალ ქართულად და ქართულადაც დავიწყებ ქართულის მიბაძჳთ, მაგრამ აქაც ერთი ჭირი, სად

მოვნახო ნამდვილი ქართველი! ამ თერგ გამოღმა ძუელ ქართველებს მივბაძო, რომელნიც აღარ არიან, თუ ახალს ჭრელაძეებს? ჭრელაძები ვინ არიან? განკჳრვებით მკითხავთ. განა არ იცით?

ქართულზედ რომ კელს იღებენ,
ვედარც რუსულს ახერხებენ,
ულვაშებს ემტერებიან,
რუსულად ბაკებს უშვებენ.
სხჳსას კარგსა მეტად ჰგმობენ.—
თუმც თავის თავს სუსტად ჰსცნობენ—
ჯიბეებსა თაგჳ უჭრისთ,
მაგრამ ისევ დიდკაცობენ.
ქართულ ენას არად ხდიან,
შჳლებს რუ'ულათა ჰზდიან,
ტრეტიაკოვსკის აქებენ
და რუსთუელსკი დასცინიან.
ეს გახლავან ჭრელაძენი,
საქართუელოს ფუჭნი ძენი,
უსწავლელნი სწავლულები,
კოტრი-კრეზნი, სულელ ბრძენნი.

ყოველადვე ნუ იყოფინ!!!

ამათ უნდა მივბაძო? (ანდუყაფარივით დავიყჳრებ)—არა! არა! ღმერთმა დამიფაროს!—არა ბატონებო, წარმოვდგები თქუენ წინ როგორც გლეხი კაცი, სულით და გულით და ქართველი, დავებჯინები წითელ ბლის თასმიან ჯოხზედ, ხმას გავისწორებ და მოგახსენებთ:

ბატონებს გაუმარჯოს!

—გაგიმარჯოს! რა იცი ახალი ანბავი? (მიბძანებთ).

აქა მშჳდობა, თქუ̂ენი ჭირიმე. (და მოვჰყვები):

არა მძინებია ბატონებო, მაგრამ ხანდახანკი მომგვრიდა ხოლმე ძილს «ცისკარი» თქუ̂ენი ჭირიმე, რომელზედაც ახლა მსურს მოგახსენოთ ჩემი სოფლიური უგუნური შენიშვნაები: როგორც მოგეხსენებათ ეს ჩუ̂ენი ყმაწჳლი «ცისკარი» მეექუ̂სე წელიწადში ჩადგა, მაგრამ დღემდი არ ვიცოდი სადაური ყმაწჳლი იყო რუსის თუ ქართვლის. ღმერთთან სწორი სჯობს. ზოგიერთი თჳსება ქართველი ყმაწჳლისა ჰქონდა. ყოველ თვეში თითო კაბას იცვლიდა, ხან წითელს იცვამდა, ხან ყჳთელს და ლურჯს; ამით სწორეთ ცელქი ქართუ̂ელი ყმაწჳლი მომაგონდებოდა ხოლმე. ამას გარდა ზამთარში მსუქდებოდა და ზაფხულში გახდებოდა ხოლმე, ესეც ქართველი ცელქი ყმაწჳლის თჳსება გახლავთ — თორემ სხუ̂ა ამ წლამდის ქართველობა არ ეტყობოდა; დღეს თქუ̂ენი ჭირიმე, ვიღაცები კარგი მასწავლებლები გამოუჩნდენ, განსაკუთრებით ერთი მოლაყბე გამოჩენილა და მართალია ლაყბობასკი ემახის თავის სტატიებს, მაგრამ იმას უფრო სარგებლობა მოაქუ̂ს იმის ლაყობით, როგორც თჳთონ უწოდებს, ვიდრე იმ ფილოსოფოსებს, რომელნიც ხან ინახით ჯდებიან გორს და ხან ათინა, რომი და ევროპა შემრეს თავისის ფილოსოფიით, რომელიც დააფუძნა საქართველოში პლატონ ფილოსოფოსმა. ბერძნების პლატონზედ არ მოგახსენებთ, არა მე მოგახსენებთ ჩუ̂ენს პლატონ ფილოსოფოსზედ. მინდოდა ახალი მასწავლებლების გაცნობაც და ავიღე ჴელში ფებერვლის ცისკარი, მა-

გრამ ჯერ აქ ერთი ანდაზის ნება მიბოძეთ, რომ მოგახსენოთ, რადგანცა აქ არ გახლავსთ თავში შესავალი, რომელშიდაც მე არ მინდოდა ამათი მიბაძვა, მაგრამ გაგრძელდება. ყურდღელი მარტო სამ დღეს წოვს, აი ამ მიზეზით; თურმე, დედამ ჰკითხა, რომ დაებადა ბოცორი: შვილო სამ თვეს გაწოვოო? (ჩქარა ჰკითხა) თუ სააამ დღეეეს (გაუგრძელა). საწყალს შვილს სამი დღე მეტი ეგონა და მიაძახა (იმანაც გაგძელებით) რასაკჳრველია სააამ დღეეესო. იმისი არ იყოს, მეც ყურდღლის ბაჭიასავით მომივიდა ბატონო; ვნახე ცისკარში ერთ სტატიის ქუ̂ეშ იყო გძლათ კელმოწერილი: ზემოური იმერელი გორისელი წერეთელი ეფთჳმე. ვიფიქრე აბა აქ არის სიბრძნე სოლომონისათქო და დავიწყე კითხუ̂ა. თქუ̂ენმა მზემ გამიკჳრდა, ისეთი მშუ̂ენიერი ენით იყო დაწერილი და, ეს შესანიშნავია! ძალიან გვეჭირვება ახალი კარგი ენა ჩუ̂ენ. მაგრამ თუ არ გამიწყრებით ერთს ანდაზას კიდევ მოგახსენებთ, სულ ანდაზაც არ გახლავსთ, ყოფილი გახლავსთ, მართალი შემთხვევაა. რა ვქნათ ბატონებო, ჩუ̂ენი გლეხების ფილოსოფია და ისტორია ქართული ანდაზები და შემთხუ̂ევავები გახლავსთ:—ჩემს მეზობელს ერთი შვილი ჰყავს, რომელიც კარგათ გამოზარდა, ბევრი ენებიც ასწავლა, მაგრამ ის უმაწჳლი, როგორღაც ქართველს არა ჰგავს, არც ბუნებითი ჭკუა აქუ̂ს და არც ნიჭი ქართველისა. გუშინწინ ნათლია მისი ეწჳა ჩემ მეზობელს და მეც იქ შევდოდი. მამამ წაუდგინა შვილი მისი ნათლიას და უთხრა: რა ბედნიერი კაცი ვარ ამ შენმა ნათლულმა ხუთი სხუ̂ა და სხუ̂ა ენა იცი-

სო. ნათლიამ ამოიხჳნეშა და დაიკრა მუხლზედ ჴელი. რა დაგემართაო? ჰკითხა მამამ, როგორ რა დამემართაო? მე კაცო, აქამდის ჩემი ნათლულის სიჩერჩეტე ერთმა ხალხმა იცოდა და ახლა ხუთს სხჳა და სხჳა ხალხს შეუტყჳაო. მისი არიყოს... ხე! ხე! ხე! ხე! ხე!... გორისელსაც ისე მოსვლია, იმ დალოცჳლს ანტონ კათალიკოზსავით ღრმათ რომ დაეწერა ბევრი ვერ გაიგებდა და კარგი ეგონებოდა და ახლაკი ყველა შეატყობს, რომ ავტორს ცარიელი გუდა გაუბერტყავს. მაგრამ რა მრჯის მე ამდენს გამბედაობას, პირველათ პატივი დამიყრია მისის სტატიის და მისის მწერლობისათჳს. რა ჩემი საქმეა გორისელი წერეთლის განხილვა, ერთი გულჩჩჳლი კაცი გახლავარ. მაგრამ ესკი შევატყვე; რომ უფალს ზემოურ იმერელს, წერეთელს ეფთჳმეს, არ ესმის პოეზია. საღმრთო სიტყვა და პოეზია იმ დალოცჳლს ერთი გონია. ასე რომ: ერთი ალილუია ერთი პოეზია ჰგონია, ორი ალილუია ორი პოეზია, სამი, სამი და ამ გვარათ. მაგრამ რა მრჯის მე ამის თქმას; კიდევ პატივი დავაყარე მისს თხზულებას და მის მწერლობასა უკანასკნელათაც. ბლიაძეს წაეკითხა მისი ცალიერი თხზულება და აი რა სამღერალი მუშური ლექსი მოიგონა, რომელსაც ჩუენ სოფელში სუყველა იმღერის:

ზემოური იმერელი,
კახელს შემოწყრაო,
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო!
სამ დღეს უღეჭა სტატია
და ძლივს გამოხრაო.

ცილს არ ვსწამებთ ბატონებო
თჳთონ მოგჳთხრაო,
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო
მერე დაჯდა და რედაკტორს
წიგნი მისწერაო:
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო!

თქჳენი ცისკრის გამოწერა,
თუმც მომენატრაო,
ჭეეო-ჭოო, ჭეე-ჭოო!

მაგრამ კახელის სტატიამ
გულს ისარი მკრაო!
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო!

წიგნის კითხვსა სურვილი,
შიგ სულ აღმოფხვრაო
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო!

მაგ თერგის წყალ დალეულმა,
ეგ რა შეგვკადრაო?
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო,

ანტონსა და ჩახრუხაძეს
რას ჩაემტერაო?
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო!

ჟურნალი უნდა გამოსცეს
სულ, ქართლი შესძრაო
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო!

ჩემ მაგიერათ ურჩიე,
თუ დაიჯერაო,
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო!

ბევრი უნდა, რომ ეყოლოს
კედ მომწერი ცხრაო!
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო!

სხჳებიც ბევრი რამ მინდოდა,
რომ მომეწერაო,
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო!

მაგრამ თერგელის სტატიამ,
ჭირათ მომასწრაო,
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო.

რაც აზრები მოვაგროვე,
ჯავრით გამიქრაო.
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო!

ეს ჩემი ბატის კალამიც,
ნოემ გამოსჭრაო,
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოოო!

ეს მისწერა და მართლისთჳს,
აწ ჩჳენც უთხრათ ბრავო!
ჭეე-ჭოო, ჭეე-ჭოო!

ამასაც ანბობს ბლიაძე, თუ ქფთჳმე გორისელმა ბოდიში არ მოიხადა უთუოთ ყოველ თჳეში შევამკობ ხოლმე სხჳა და სხჳა რიგათო.

ყოვლადკე ნუ იყოფინ! აწ ნება მიბოძეთ შინ გიახხლოთ! მშჳდობით ბძანდებოდეთ ბატონებო!...

—მოიცა კაცო? სად მიდიხარ? ღჳნო დალიე!

არა თქჳენი ჭირიმე! გმადლობთ! შინ მივეშურები და მშჳდობით ბძანდებოდეთ ნახვამდის.—

მესამე თერგ დალეული.